საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიხეილ ჯღამაძე

წრფივი გარდასახვების საფუძველზე სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდების დამუშავება და გამოკვლევა

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა “ტელეკომუნიკაცია” შიფრი 0402

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
დეკემბერი, 2014 წ.

თბილისი
2014 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მიხეილ ჯღამაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „წრფივი გარდასახვის საფუძველზე სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდების დამუშავება და გამოკვლევა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის დატელეკომუნიკაციის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ________________

ხელმძღვანელი:	პროფესორი	ჯ. ხუნწარია
რეცენზენტი:	პროფესორი	კ. კამკამიძე
რეცენზენტი:	პროფესორი	ნ. აბზიანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2014 წელი

ავტორი :	ჯღამაძე მიხეილი
დასახელება :	წრფივი გარდასახვის საფუძველზე სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდების დამუშავება და გამოკვლევა
ფაკულტეტი :	ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის
აკადემიური ხარისხი:	დოქტორი
სხდომა ჩატარდა:	"__" __________, 2015 წ.

რეზიუმე

სამუშაოში წარმოდგენილია სადისერტაციო თემასთან “წრფივი გარდასახვების საფუძველზე სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდების დამუშავება და გამოკვლევა” დაკავშირებით ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები.

სხვადასხვა კლასის (ძალიან მცირე, მცირე, საშუალო და მაღალი დეტალობის) გამოსახულებათა ფართოზოლოვანი სიგნალების დამახსოვრებისა და რეალური სატელეკომუნიკაციო არხებით მათი მაღალხარისხოვანი გადაცემის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ამ სიგნალების კომპაქტური კოდირების განხორციელება, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებული იყოს კოდირების სხვადასხვა მეთოდები.

გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების (კომპრესიის) საერთაშორისო JPEG (Joint Picture Exspert Group) და MPEG (Motion Picture Exspert Group) სტანდარტებით რეკომენდირებული დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების კომპრესია შეიძლება განხორციელდეს ეგრეთ წოდებული ბლოკური და ზონური კოდირების ალგორითმების გამოყენებით ფერად გამოსახულებათა სამივე (სიკაშკაშისა და ორი ფერსხვაობითი) შემდგენისათვის.

გამოსახულებათა სიგნალების კომპაქტური კოდირების შემოთავაზებული ბლოკური მეთოდის გამოყენებისას კომპრესიის თვალსაზრისით მისი ეფექტურობა დასტურდება მხოლოდ ძალიან მცირე, მცირე და საშუალო დეტალობით გამორჩეული გამოსახულებებისათვის კომპრესიის არსებულ მეთოდთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტებით.

კომპრესიის მაჩვენებლების გაზრდა ოთხივე კლასის გამოსახულებებისათვის შესაძლებელი აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული ზონური მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ემყარება 256x256 ფორმატის ფერად საცდელ გამოსახულებათა სიგნალების სიკაშკაშისა და ფერსხვაობითი შემდგენების წრფივი დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების კოეფიციენტების სტატისტიკურ პარამეტრებს.

უმრავლეს შემთხვევაში დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების არანულოვანი კოეფიციენტები, მათი 8x8 ფორმატით წარმოდგენის დროს, თავმოყრილია ზედა მარცხენა ნაწილში, რაც უმრავლეს შემთხვევაში იძლევა მცირე რაოდენობის ზონების გამოყენებისა და, შესაბამისად, კომპრესიის გაუმჯობესების საშუალებას დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის რეალიზაციის შემდეგ დამატებითი დანაკარგების გარეშე.

კომპრესიის ფაქტორის უფრო მეტად გაუმჯობესება შესაძლებელია ზონური კოდირების მეთოდში ტრანსფორმანტების სკანირების ალგორითმის ადაპტაციით, კერძოდ მთავარი კოეფიციენტების მასივში მათი სკანირების გარეშე და სკანირების ოთხიდან ერთ-ერთი (ზიგზაგ-ჰორიზონტალური, ზიგზაგ-ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ვერტიკალური) ვარიანტით კოდირებისას, ხოლო არამთავარი კოეფიციენტების მასივებისათვის სკანირების ორიდან ერთ-ერთი (ზიგზაგ-ჰორიზონტალური და ზიგზაგ-ვერტიკალური) ვარიანტის გამოყენებისას და, აგრეთვე, მთავარი კოეფიციენტების

ორგანზომილებიან მასივში მათი სხვაობების გამოთვლის ორიდან ერთ-ერთის (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) ვარიანტის რეალიზაციის შემთხვევაში. აღნიშნული ვარიანტებიდან კომპრესიის თვალსაზრისით საუკეთესოს შერჩევის საშუალებით შესაძლებელი აღმოჩნდა კომპრესიის ფაქტორის საგრძნობი გაზრდა კომპრესიის არსებულ მეთოდთან შედარებით.

კომპრესიის შემოთავაზებული ადაპტური მეთოდი მოითხოვს საინფორმაციო დამატებითი (ჭარბი) სიმბოლოების შეტანას შესაბამის ციფრულ ნაკადში. მასთან კი დაკავშირებულია აღდგენილი გამოსახულებების ხარისხის გაუარესება, რაც მოითხოვს ციფრულ სიგნალში საინფორმაციო სიმბოლოების რამდენჯერმე (მაგალითად, სამჯერ) დაფიქსირებას.

სხვადასხვა (ძალიან მცირე, მცირე, საშუალო და მაღალი დეტალობის მქონე) კლასის საცდელი ფერადი გამოსახულებების კომპაქტური კოდირების შემოთავაზებული მეთოდების მოდელირებისათვის გამოყენებულია პროგრამა Mathcad, რომლის საფუძველზე შეფასებულია შემოთავაზებული მეთოდების არა მარტო ეფექტურობა არსებულთან შედარებით, არამედ აღდგენილი გამოსახულებების ხარისხობრივი მაჩვენებლები ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

Abstract

Work offers the results of theoretical and experimental researches conducted in relation with the dissertation work: "Development and Study of the Methods of Telecommunication Signals' Compact Coding on the Basis of Linear Transformation:

To ensure saving of the wide-band signals of images of different classes (very low, low, medium and high detailing) and their high quality transmission by actual telecommunication channels, compact encoding of the signals is necessary and various encoding methods could be used for this.

Compression of the transforms of discrete cosine transformation, recommended by International JPEG (Joint Picture Expert Group) and MPEG (Motion Picture Expert Group) standards of image compact coding (compression) can be provided using so called block and zone encoding algorithms for all three components (brightness and two color ranges) of colored images.

In case of use of offered block method of compact coding of the image signals, its effectiveness, with respect of compression, is evidenced for the pictures distinguished with very low, low and medium detailing, compared with the existing compression method provided for by the international standards.

Improvement of compression characteristics for the images of all four classes was possible in case of use of so called zoning method, based on statistical parameters of the coefficients of the transforms of linear discrete cosine transformation of the brightness and color ranges of the colored test image signals of 256x256 format.

In the most cases, coefficients of the transforms of discrete cosine transformation different from zero, in case of their presentation in 8x8 format , is gathered in the upper left part, allowing, in the most cases, use of the small number of zones and hence, improving of compression, after discrete cosine transformation, without additional losses.

Further improvement of the compression factor is possible through adaptation of the algorithm of transforms scanning in the zoned coding method, in particular, through coding in the array of the main coefficients, without scanning and one of four scanning (zigzag-horizontal, zigzag-vertical, horizontal and vertical) variants and in case of use one of the two variants of scanning (zigzag-horizontal and zigzag-vertical) for the arrays of non-main coefficients and, in case of realization of on one of two (horizontal and vertical) variants of calculation of the differences in two-dimensional array of the main coefficients. It turned out that through selection of the best ones, with respect of compression, among the mentioned variants, it is possible to significantly increase compression factor, compared with the existing compression methods.

Offered adaptive compression method requires inclusion of the additional (excessive) information characters into the relevant digital flow. With this, worsening of the restored picture quality is associated, requiring fixing of the information characters in the digital signal several (e.g. three) times.

Methcad software was used for modeling of the offered techniques of compact coding of the test colored images of various classes (very low, low, medium and high detailing), allowing evaluation of not only its effectiveness, compared with the existing techniques, but also evaluation of the qualitative characteristics of the restored picture, on the basis of the objective and subjective criteria.

სარჩევი

ცხრილების ნუსხა

ნახაზებისა და სურათების ნუსხა

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

აბრევიატურა	განმარტება	
JPEG	Joint Picture Expert Group	უძრავ გამოსახულებათა ექსპერტთა ჯგუფი
ISO	International Organization for Standartization	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IEC	International Electrotechnical Commission	საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია
MPEG	Motion Picture Exspert Group	მოძრავ გამოსახულებათა ექსპერტთა ჯგუფი
MPEG-1; 2; 4	Motion Picture Exspert Group-1; 2; 4	მოძრავ გამოსახულებათა კოდირების სტანდარტები
ESA	European Space Agency	ევროპის კოსმოსური სააგენტო
IPTV	Internet Protocol Television	ინტერნეტ ტელევიზია
VOD	VideoOnDemand	ვიდეო მოთხოვნით
4G	Fourth Generation	მეოთხე თაობის (გენერაციის) მობილურის ქსელი
LTE	Long Term Evolution	“მრავალწლიანი განვითარება”. მეოთხე თაობის მობილური სისტემა
HD	High Definition	მაღალი სიმკვეთრე, ხარისხი
CDMA	Code Division Multiple Access	“მრავალი შეღწევადობა კოდური დაყოფით” მესამე თაობის მობილური ქსელი
3D	Three Dimensional	სამ განზომილიანი
DCT	Discrete Cosine Transform	დისკრეტული კოსინუსური გარდასახვა
DVB	Digital Video Broadcasting	ციფრული ვიდეომაუწყებლობა
EOB	End of blok	ბლოკის დასასრული
MSE	Mean square error	საშუალო კვადრატული ცდომილება
NMSE	Normalized mean square error	ნორმირებული საშუალო კვადრატული ცდომილება
SNR	Signal and Noise ratio	სიგნალისა და ხმაურის ფარდობა
SNRP	Signal and Noise ratio of the peak value	სიგნალისა და ხმაურის ფარდობის პიკური მნიშვნელობა

შესავალი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნებისა და ზოგადად მსოფლიოს განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის მუდმივ განახლებას (მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა). ადამიანის სენსორულ სისტემებს შორის დომინანტული ადგილი უკავია მხედველობის სისტემას. ინფორმაციის დაახლოებით 80% სწორედ მხედველობის საშუალებით მიეწოდება ადამიანს.

გამოსახულებათა (მათ შორის ტელეხედვის) სიგნალების ციფრული სისტემების შექმნაზე პირველი წინადადებები გამოჩნდა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. ამ პროექტებს საფუძვლად ედო ის წარმატებები, რომლებიც მიღწეული იქნა გამოსახულებათა კომპაქტური კოდირებისა და შეკუმშვის მეთოდების დამუშავებაში. ამ სფეროში სამუშაოები ტარდებოდა არა მხოლოდ ციფრული სატელევიზიო სისტემების შექმნის, არამედ ვიდესატელეფონო, ვიდეოსაკონფერენციო, ციფრულ ლაზერულ კომპაქტ-დისკებზე ვიდეოპროგრამების ჩაწერის, კომპიუტერული გრაფიკის, მულტიმედიის ვიდეოსაშუალებებისა და სხვა სისტემების შექმნის მიზნით.

ყოველწლიურად იზრდებოდა გამოსახულებათა ციფრული გადა-ცემის სისტემების პროექტების რაოდენობა და უმჯობესდებოდა მათი მახასიათებლები. 1993 წლის დასაწყისში განხილვიდან უკვე მოიხსნა უკანასკნელი ანალოგური სისტემები. 1993 წლის მაისში არსებითად მსგავსი პროექტების წარმომდგენი კომპანიებისა და ორგანიზაციების ოთხი ჯგუფი გაერთიანდა “Grand Alliance”-ში. მათ შემდგომში წარმოად-გინეს ერთიანი პროექტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გახდა სრულად ციფრული სატელევიზიო სისტემის სტანდარტის საფუ-ძველი. ახალი სისტემის შემქმნელთა შორისაა მასაჩუსეტსის ტექნოლო-გიური ინსტიტუტი, კორპორაციები Zenith, AT&T, General Instruments, Philips-ისა და Thomson-ის ამერიკული განყოფილებები და სხვა.

ჩატარებულ სამუშაოთა შედეგებმა გამოყენება ჰპოვა რამდენიმე სტანდარტში. უძრავი გამოსახულებების შეკუმშვისათვის ფართოდ გამოიყენება JPEG (Joint Picture Expert Group) რეკომენდაცია [1].

JPEG წარმოადგენს ფერადი, უძრავი გამოსახულების სტანდარტს. იგი შეიქმნა 1986 წელს და ითვალისწინებდა სტატიკური გამოსახულების გამოკვლევას და ფორმატში ჩაწერილი გამოსახულების მოცულობის შემჭიდროებას დანაკარგების გარეშე. მიღებული სტანდარტი დამტკიცდა როგორც ISO/IEC 10918-1, ხოლო უფრო მარტივ და მოსახერხებელ ფორმაში დაერქვა JPEG სტანდარტი.

მოძრავ გამოსახულებათა და ხმოვანი თანხლების სიგნალების შეკუმშვის მეთოდები აღწერილია რეკომენდაციებში MPEG-1 და MPEG-2 (MPEG–Motion Picture Expert Group). სტანდარტი MPEG-1, რომელიც საბოლოოდ დამტკიცდა 1993 წლის დეკემბერში, ძირითადად ორიენტირებულია კინოფილმებისა და ვიდეოპროგრამების ჩაწერაზე ლაზერულ კომპაქტურ დისკებზე, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოსახულებისა და ხმის აღწარმოება ჩვეულებრივ პერსონალურ კომპიუტერზე. სტანდარტი MPEG-2, რომელიც განკუთვნილია როგორც გამოსახულებათა განშლის ჩვეულებრივი სტანდარტის, ასევე მაღალი სიმკვეთრის (გარჩევადობის) სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემებისათვის, დამტკიცდა 1994 წლის ნოემბერში [2, 3, 4].

დღეისათვის ციფრული ტელეხედვის სისტემები, რომლებიც ემყარება სატელევიზიო სიგნალების შეკუმშვას MPEG-2 სტანდარტით, ფართოდ ვრცელდება მრავალ ქვეყანაში. ამასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, წყდება ჩვეულებრივი გარჩევადობის ტელეხედვის გადასაცემი პროგრამების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდის ამოცანა, ვინაიდან ეს იძლევა მნიშვნელოვან კომერციულ ეფექტს.

ჯერ კიდევ 1993 წელს ევროპაში, როგორც კი ცხადი გახდა, რომ მომავალი აქვს ციფრულ სატელევიზიო სისტემებს, მიიღეს პროექტი DVB (Digital Video Broadcasting – ციფრული ვიდეომაუწყებლობა), რომლის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 130-ზე მეტმა ფირმამ და სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციამ. უკვე 1994 წელს ABC World News Now იყო პირველი სატელევიზიო შოუ, რომელიც გადაიცა ინტერნეტით [5, 6].

1987 წლიდან ევროპის გაერთიანებულმა კოსმოსურმა სააგენტომ ESA (European Space Agency), რომელშიც შედიოდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ფინეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლან-

დია, იტალია, უნგრეთი და აგრეთვე კანადა), შეიმუშავა კონცეფცია და მომდევნო ათწლეულის სტრატეგიულ მიმართულებად დასახა დედამი-წის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით ციფრული სიგნალების, მათ შორის ციფრული ტელეხედვის გადაცემა. უკვე 1997 წელს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით ევროპულ ქვეყნებში გადაიცემო-და ციფრული ტელეხედვის 170 არხი, ხოლო 1998 წლის ბოლოსათვის ასეთი არხების რაოდენობამ გადააჭარბა 1000-ს. ამავდროულად ვითარ-დება როგორც ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა საკაბელო ხაზე-ბით, ასევე ციფრული ვიდეოჩაწერა და ციფრული ვიდეოდისკები [7].

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, დღევანდელ საინფორმაციო სამყაროში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ციფრული გამოსახულება. ტექნოლოგიების განვითარებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ციფრული ინტერაქტიური ტელევიზიის (IPTV, VideoOnDemand, და სხვა), ინტერნეტის და მობილური სატელეფონო კავშირის მეოთხე თაობის (გენერაციის) 4G, LTE, CDMA და აგრეთვე უძრავი და მოძრავი გამოსახულებების გადაცემის ეგრეთწოდებული 3D (სამგანზომილიანი გამოსახულება) სისტემებით გამოსახულებათა გადაცემის მეთოდების დანერგვის აუცილებლობა.

საქართველოში უკვე გამოიყენება და სულ უფრო მეტი სატელე-კომუნიკაციო კომპანია ნერგავს თავის ქსელში ინტერაქტიურ ტელევი-ზიას (IPTV, VideoOnDemand და სხვა). ამასთან ერთად კომპანიები ცდილობენ მომხმარებელს მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი HD არხი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ეკონო-მიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით 2015 წლის ივნისისათვის ანა-ლოგური სატელევიზიო მაუწყებლობა უნდა შეიცვალოს ციფრული მაუ-წყებლობით DVB-T2 სისტემისა და MPEG-4 სტანდარტის გამოყენებით [8].

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას სატელევიზიო არხები დაჯგუფდება და ისინი მულტიპლექსების მეშვეობით DVB-T2 (ციფრული ვიდეო მაუწყებლობა – მიწისზედა მაუწყებლობის მეორე თაობა) სისტემის გამოყენებით გავრცელდება, რომელშიც გათვალისწინებულია გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების (კომპრესიის) MPEG-4 სტანდარტი. მულტიპლექსი ციფრული ინფორმაციის ნაკადია, რომელიც

გამოსახულების, ხმისა და სხვა სახის მონაცემის ერთობას წარმოადგენს. ერთი მულტიპლექსის საშუალებით შესაძლებელია 15 სტანდარტული ან 7 მაღალი გარჩევადობის ხარისხის სატელევიზიო სიგნალის გადაცემა [8, 9].

ციფრულ მაუწყებელობაზე გადასვლის შემდეგ საქართველოში ანალოგიური მაუწყებლობისთვის ამჟამად გამოყენებული სიხშირეთა ზოლის ნაწილი გამონთავისუფლდება და გამოყენებული იქნება სხვა სერვისების მისაწოდებლად. მაგალითად, სიხშირეთა 800 მჰც ზოლი გამოყენებული იქნება მობილური ფართოზოლოვანი LTE ტექნოლოგი-ისათვის, რომელიც ამჟამად მიიჩნევა ყველაზე პესპექტიულ ტექნოლო-გიად. მისი საშუალებით შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიან მონაცემთა გადაცემის ქსელის (ინტერნეტი, ლოკალუ-რი შიდა ქსელი, მონაცემთა ერთიანი ბაზის ქსელი და სხვა) აგება [8].

ახალი თაობის სატელევიზიო სისტემების მთავარი თავისებურებებია:

– ციფრული სატელევიზიო სიგნალის სიხშირული ზოლის არსებითი შევიწროვება, რაც მიიღწევა კომპაქტური (ეფექტური) კოდირების, ანუ გამოსახულებებში სიჭარბის შემცირების, საშუალებით, რაც იძლევა უფრო მეტი სიგნალის გატარების საშუალებას, ვიდრე ერთი ანალოგიური სიგნალის გადაცემა იმავე სიხშირულ ზოლში, კერძოდ, დაახლოებით 15 სტანდარტული პროგრამის გადაცემის საშუალებას სიხშირეთა იმ არხში, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ერთი ანალოგური სიგნალის გადასაცემად [9];

– კავშირის ციფრული ქსელებით გადაცემისას ინფორმაციის სხვა სახეობებთან ინტეგრაცია;

– გადასაცემი სატელევიზიო პროგრამებისა და სხვა ინფორმაციის არასანქცირებული მიღებისაგან (მოპოვებისაგან) დაცვის უზრუნველყოფა, რაც იძლევა ფასიანი სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემის შექმნის საშუალებას;

– ინტერაქტიური ტელევიზიის ფორმატის დამკვიდრება, რაც იძლევა სტატისტიკური მონაცემების (არხებისა და კონკრეტული გადაცემების რეიტინგი, მომხმარებელთა აქტივობის პერიოდის დადგენა და სხვა) მიღებისა და მათი შემდგომი დამუშავების საშუალებას;

– არხებზე ტელეტექსტის (მომხმარებლის ანგარიშის ბალანსი, ამინდის პროგნოზი, ვალუტის კურსი, გადაცემათა ჩამონათვალი, დღის მთავარი სიიახლეების მოკლე მიმოხილვა და სხვა) დამატება.

გამოსახულებათა სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდებს, რომლებიც დამყარებულია სხვადასხვა წრფივ გარდასახვებზე და მათთვის შესაბამისად კოდირების სხვადასხვა მეთოდების შერჩევაზე, ეძღვნება მრავალი სამეცნიერო შრომა.

უნდა აღინიშნოს, რომ JPEG ითვალისწინებს ფერადი გამოსახულების წარმოდგენას სიკაშკაშის Y და ორ ფერსხვაობით C_b და C_r შემდგენებად და გამოსახულების თითოეული მათგანის დაყოფას 8x8 ან 16x16 ზომის ბლოკებად, რომლებიც შემდგომში ცალ-ცალკე მუშავდება დისკრეტული კოსინუსური წრფივი გარდასახვის (DCT) საბაზო მატრიცების გამოყენებით.

ცნობილია, რომ ადამიანის თვალი უფრო მეტად რეაგირებს სიკაშკაშის ცვლილებაზე ვიდრე ფერებისაზე. ამიტომ სტანდარტი ითვალისწინებს ფერსხვაობითი მდგენელების პიქსელების (ელემენტების) რაოდენობის ოთხჯერ შემცირებას გამოსახულების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით ყოველი მეორე ანათვლის ამოგდების მეშვეობით (მიმღებში მათი აღდგენა ხდება ინტერპოლაციის მეთოდის გამოყენებით), ხოლო სიკაშკაშის მდგენელის დამუშავება ხდება სრულად (პიქსელების რაოდენობის შემცირების გარეშე) [10, 11].

აღსანიშნავია, რომ მოძრავ გამოსახულებათა და მისი ხმოვანი თანხლების სიგნალების კომპაქტური კოდირების MPEG კოდერების მთავარ ელემენტს წარმოადგენს კადრს შიგნით კოდირება JPEG რეკომენდაციის საფუძველზე. დანარჩენი კადრები წარმოადგენენ მთავარი კადრის მცირე ცვლილებების მონაცემებზე “დაშენებულ” კადრებს [9, 10, 11, 12, 13].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მივაღწევთ ფერადი უძრავი გამოსახულების კომპრესიის მაჩვენებლის გაზრდას არსებული სტანდარტებით დამუშავებული გამოსახულებების უცვლელი ხარისხობრივი მაჩვენებლების პირობებში,

მაშინ შესაბამისი მეთოდის გამოყენება შეგვეძლება როგორც სტატიკური, ასევე მოძრავი გამოსახულებებისათვის.

თემის აქტუალობა: ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის (ტელევიზია, ტექსტური ფაილი, უძრავი და მოძრავი გამოსახულება, მუსიკა, ხმოვანი ინფორმაცია და სხვა) სწრაფ მიღება/დამუშავება/გადაცემას და იზრდება ამ ინფორმაციის შენახვის მოთხოვნა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის წარმოდგენას კომპაქტურად.

მიუხედავად განვითარების ტემპებისა და ტექნოლოგიების სრულყოფისა, მაინც არსებობს დიდი მოცულობის მონაცემების გადაცემის პრობლემები, რაც დაკავშირებულია სატელეკომუნიკაციო არხების გამტარუნარიანობასა და მახსოვრობის მოწყობილობების ტევადობების შეზღუდულ შესაძლებლობებთან. მათი მუშაობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული საკომუნიკაციო ქსელის გამტარუნარიანობაზე. ამგვარად, რაც უფრო ნაკლები მოცულობისა და მაღალი ხარისხის ინფორმაცია იქნება გადაცემული, მით უფრო მოქნილი და რენტაბელური იქნება ასეთი ქსელი და, გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება მისი შემდგომი განვითარება (სრულყოფა).

ზემოთ აღნიშნული პრობლემა მოითხოვს ციფრული სიგნალების კომპაქტურად წარმოდგენის მაქსიმალურად სრულყოფილი მეთოდების დამუშავებასა და გამოკვლევას, რის გამოც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა ტელეკომუნიკაციის სფეროს ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

სამუშაოს მიზანი. სამუშაოს მიზანს წარმოადგენს შემოთავაზებული ბლოკური და ზონური კოდირების მეთოდების საფუძველზე ფერად გამოსახულებათა კომპრესიის ფაქტორის ამაღლება კომპრესირებულ გამოსახულებათა ხარისხობრივი პარამეტრების გაუარესების გარეშე JPEG და MPEG სტანდარტებით გათვალისწინებული კომპრესიის მეთოდთან შედარებით. სამუშაოს ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს, აგრეთვე, შემოთავაზებული მეთოდებით კოდირებული საცდელი გამოსახულებების კომპაქტური კოდირების პარამეტრების შეფასება და

მათი შედარება JPEG და MPEG რეკომენდაციების საფუძველზე კომპრესირებული გამოსახულებების შესაბამის პარამეტრებთან.

კვლევის ძირითადი ამოცანები. სადისერტაციო სამუშაოს ძირითად ამოცანებია:

1. ფერად გამოსახულებათა შემდგენების კომპრესიის ბლოკური კოდირებისა და დეკოდირების მეთოდების დამუშავება, მათი კომპიუტერული მოდელირება და კომპრესიის გაუმჯობესების შესაძლებლობების დადგენა ძალიან მცირე, მცირე, საშუალო და მაღალი დეტალობის საცდელი გამოსახულებებისათვის. კომპრესიის შესაბამისი ფაქტორების განსაზღვრა და მათი შედარება არსებული მეთოდით მიღწეულ ანალოგიურ პარამეტრებთან.

2. 256x256 ფორმატის ფერად გამოსახულებათა სიკაშკაშისა და ფერსხვაობითი შემდგენების შესაბამისი 8x8 ზომის ბლოკების დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის დაკვანტული ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივების სტატისტიკური მახასიათებლების შეფასება.

3. ფერად გამოსახულებათა შემდგენების დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის კომპრესიის ზონური მეთოდის ალგორითმის დამუშავება და მისი ეფექტურობის განსაზღვრა.

4. საცდელი გამოსახულებების შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის სტატისტიკური პარამეტრების ანალიზი და მათ საფუძველზე ზონური კოდირების ადაპტური ალგორითმის დამუშავება კომპრესიის ფაქტორის ამაღლების მიზნით.

5. ტრანსფორმანტების ადაპტური ზონური კოდირების მეთოდის რეალიზაციისას ჰაფმანის მოდიფიცირებული ცხრილების შედგენა ტრანსფორმანტების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც მისადაგებულია (ოპტიმალურია) მოცემული გამოსახულების სიკაშკაშისა და ფერსხვაობითი შემდგენებისადმი.

6. გამოსახულებათა კომპრესიის ფაქტორის შემდგომი ამაღლების მიზნით ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების სკანირებისათვის, გარდა არსერბული მეთოდისა, ზიგზაგ-ვერტიკალური

სკანირების გამოყენება და აღნიშნული ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევა კომპრესიის თვალსაზრისით.

7. ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ადაპტური უდანაკარგო კოდირების დამუშავებული მეთოდის შეხამება მთავარი კოეფიციენტების მასივის ადაპტურ უდანაკარგო კოდირებასთან.

8. გამოსახულებათა სამივე შემდგენის გარდასახვის კოეფიციენტების შემოთავაზებული ადაპტური ზონური უდანაკარგო კოდირების მეთოდით კომპრესიისას მისი ეფექტურობის შეფასება სხვადასხვა კლასის ფერადი საცდელი გამოსახულებებისათვის.

9. კომპრესიის შემოთავაზებული მეთოდებით კოდირებული გამოსახულებების ხარისხობრივი პარამეტრების დადგენა მათი შეფასების როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

10. 256x256 ფორმატის ფერად გამოსახულებათა შემდგენების გარდასახვის კოეფიციენტების შემოთავაზებული მეთოდებით კოდირების დამუშავებული მეთოდების მოდელირება პროგრამა Mathcad-ის გამოყენებით და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

გამოკვლევის მეთოდები: სამუშაოში დასმული პრობლემების ანალიზისა და შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტისათვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებისას გამოყენებულია ინფორმაციის თეორია, შემთხვევითი პროცესების თეორია, მატრიცებისა და რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია და, აგრეთვე, კომპიუტერული მოდელირების მეთოდები პროგრამა MathCad-ის პროგრამული უზრუნველყოფით.

სამეცნიერო სიახლე. ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის შედეგად მიღწეული სამეცნიერო სიახლეებია:

- ნაჩვენებია ფერად გამოსახულებათა სიკაშკაშისა და ფერსხვაობითი შემდგენების 8x8 ფორმატის ბლოკების დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის საფუძველზე გამოთვლილი დაკვანტული კოეფიციენტების კომპრესიის მაჩვენებლის გაუმჯობესების შესაძლებლობა გარდასახვის კოეფიციენტების JPEG და MPEG სტანდარტებით გათვალისწინებულ კოდირებასთან შედარებით;

- შემუშავებულია გამოსახულებათა შემდგენების გარდასახვის კოეფიციენტების კომპაქტური უდანაკარგო კოდირების (კომპრესიის) ბლოკური მეთოდი და დაგენილია მისი ეფექტურობის პარამეტრები სხვადასხვა კლასის ფერადი გამოსახულების შემდგენებისათვის;

- შემუშავებულია გამოსახულებათა შემდგენების შესაბამისი დაკვანტული ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის კომპაქტური უდანაკარგო კოდირების (კომპრესიის) ზონური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს, აგრეთვე, კონკრეტული გამოსახულების შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების სტატისტიკის საფუძველზე ჰაფმანის მოდიფიცირებული ცხრილების გამოყენებას;

- შედგენილია გარდასახვის დაკვანტული არამთავარი კოეფიციენტების უდანაკარგო კოდირებისათვის რეალური გამოსახულებებისადმი მისადაგებული ჰაფმანის მოდიფიცირებული ცხრილები აღნიშნული კოეფიციენტების მასივის სტატისტიკის გათვალისწინებით;

- შემუშავებული და გამოკვლეულია დაკვანტული ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ადაპტური ზონური კოდირების მთავარი კოეფიციენტების მასივის ადაპტურ კოდირებასთან შეხამების ალგორითმი, რამაც უზრუნველყო კომპრესიის ფაქტორის შემდგომი გაუმჯობესება;

- ნაჩვენებია, რომ კომპაქტური ადაპტური კოდირების შემოთავაზებული მეთოდები უზრუნველყოფენ ფერად გამოსახულებათა თითოეული შემდგენის კომპრესიის ეფექტურობის გაზრდას კოდირების არსებულ მეთოდთან შედარებით გამოსახულებათა აღდგენის უცვლელი ხარისხობრივი მაჩვენებლების პირობებში.

სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სატელეკომუნიკაციო სფეროში მიმდინარეობს სწრაფი განვითარების პროცესები, რაც გულისხმობს როგორც მოძრავი, ისე უძრავი გამოსახულებების გადაცემას მაღალი ხარისხით და მცირე მოცულობით. გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების არსებული მეთოდის შესწავლა, ანალიზი და მათ საფუძველზე დამუშავებული მეთოდების დანერგვა საშუალებას მისცემს სატელეკომუნიკაციო

სისტემების ინტეგრატორებს, მოთხოვნის შესაბამისად, ზუსტად შეარჩიონ პროდუქტი, რომლის დანერგვასაც აპირებენ.

ნაშრომი შეიცავს ყველა აუცილებელ მონაცემს, მეთოდიკასა და რეკომენდაციას სატელეკომუნიკაციო და მახსოვრობის სისტემებისათვის გამოსახულებათა სიგნალების კომპაქტური კოდირების მეთოდების რეალიზაციისათვის და, აგრეთვე, შესაბამის კომპიუტერულ პროგრამებს ტელეკომუნიკაციის სპეციალობის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შესაბამისი სასწავლო კურსების ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობების კომპიუტერული მოდელირებით ჩატარებისათვის.

სამუშაოს აპრობაცია. ნაშრომში მიღებული კვლევების შედეგები ასახულია ქ. ქუთაისში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები” მოხსენებათა კრებულში გამოქვეყნებულ 2 სტატიაში (21-22. V. 2010 წ.), საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის “ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე მრეწველობაში” (29-30. IV. 2010 წ. თბილისი) შრომების კრებულში გამოქვეყნებულ 1 სტატიაში, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში “Georgian Engineering News” (3, 2011 წ. თბილისი) გამოქვეყნებულ 1 სტატიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალში “მეცნიერება და ტექნოლოგიები” (№10-12, თბილისი, 2011) გამოქვეყნებულ 1 სტატიაში, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში “Georgian Engineering News” (2, 2012 წ. თბილისი) გამოქვეყნებულ 1 სტატიაში და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯურნალი “განათლება”-ში (№1(4), თბილისი 2012 წ.) გამოქვეყნებულ 1 სტატიაში.

სამუშაოს სტრუქტურა. სამუშაო შედგება შესავლისაგან, ლიტერატურის მიმოხილვისაგან, შედეგებისა და მათი განსჯისაგან, ოთხი თავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურისაგან და დანართებისაგან. სამუშაოს მოცულობა შეადგენს 166 გვერდს, რომელთა შორის 96 გვერდი ძირითადი ტექსტია 13 ნახაზითა და 35 ცხრილით. გამოყენებული ლიტერატურა შეიცავს 54 დასახელებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნებისმიერი ანალოგიური სიგნალის (გამოსახულება, ხმა) ციფრულ სიგნალად გარდასაქმნელად საჭიროა სამი ეტაპის გავლა: დისკრეტიზაცია, დაკვანტვა და კოდირება. მათგან ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია სიგნალების კოდირება, რომელიც ძირითად გავლენას ახდენს სიგნალის მოცულობაზე და ხარისხზე.

არსებობს მრავალი მეთოდი სიგნალების ციფრულ კოდირებასთან დაკავშირებით, რომელზეც შექმნილია მთელი რიგი სამეცნიერო სამუშაოები. მათგან ყველაზე საინტერესოს წარმოადგენს გამოსახულებათა სიგნალების ციფრული კოდირება [14].

გამოსახულებათა სიგნალების ციფრული კოდირების დღეისათვის არსებული მრავალი მეთოდიდან შედარებით გავრცელებულს წარმოადგენს: იპულსურ-კოდური მოდულაცია (იკმ); წინასწარმეტყველე-ბითი კოდირება, კერძოდ კი დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაცია (დიკმ); სტატისტიკური (უდანაკარგო) კოდირება; ვექტორული დაკვანტვა; ადაპტური ჯგუფური კოდირება; პირამიდული კოდირება; კოდირება წრფივი გარდასახვების საფუძველზე; კოდირება სხვადასხვა მეთოდების შეხამებით (ადაპტური კოდირება) და სხვა.

გამოსახულებათა სიგნალების ეფექტური კოდირება ფაქტიურად გულისხმობს საწყისი დისკრეტული სიგნალის ისეთ გარდაქმნას, რომ შეტყობინების ერთ დისკრეტულ ანათვალზე მოსული ორობითი სიმბო-ლოების (ბიტების) საშუალო რაოდენობა დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ე.ი ამ შეტყობინებების ენტროპიის მნიშვნელობამდე, რაც ძნელად გადასაწყვეტი პრობლემაა, რადგან იგი მოითხოვს საწყის სიგნალში არსებული სტატისტიკური სიჭარბის სრულად აღმოფხვრას [15, 16].

კოდირების ყველა მეთოდი საბოლოო ჯამში ამცირებს ორი სახის სიჭარბეს:

1. სტატისტიკური სიჭარბე, რომელიც განპირობებულია გამოსახულელების ელემენტების სტატისტიკით;
2. ფსიქოფიზიოლოგიური სიჭარბე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მხედველობითი აღქმის თავისებურებებთან. მხედველობითი ინფორმაცია გროვდება მხედველობით

გრძელვადიან მეხსიერებაში, იქმნება რეალური ობიექტებისადმი მეტნაკლებად მიმსგავსებული სუბიექტური წარმოდგენები, რომლებიც გამოიყენება შემდგომი მოქმედებისა და აზროვნების საფუძვლად.

გამოსახულებათა სიგნალების ციფრული კოდირების შეფასების ძირითად პარამეტრებია:

1. კომპრესიის კოეფიციენტი C, რომელიც წარმოადგენს გამოსახულების საწყისი სიგნალის ერთ ელემენტზე (დისკრეტულ ანათვალზე) დახარჯული ბიტების რაოდენობის (M_1) შეფარდებას ეფექტური კოდირების შემდეგ ერთი ელემენტისათვის საჭირო ბიტების რაოდენობასთან (M_2) [17, 18, 19].

2. ეფექტური კოდირების შემდეგ აღგენილი გამოსახულების ხარისხის ობიქტური (საშუალო კვადრატული და ნორმირებული საშუალო კვადრატული შეცდომები და სხვა) და სუბიექტური (ადამიანის ფსიქოფიზიოლოგური აღქმის თავისებურებანი) შეფასების შედეგები.

3. კოდირებული სიგნალის ხელშეშლამდგრადობა.

4. ეფექტური კოდირების რეალიზაციის სიმარტივე, რომელიც შეიძლება დახასიათდეს შესასრულებელი ოპერაციების რაოდენობით, გამოსაყენებელი აპარატურის სიმარტივით და გაბარიტებით, აგრეთვე დასამუშავებელი სიგნალის დაყოვნების დროით.

იპულსურ-კოდური მოდულაცია სიგნალის კოდირების ყველაზე გავრცელებული მეთოდია. სიგნალის კოდირების ზემოთ მოყვანილი მეთოდებიდან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება შეფასების შემდეგ პარამეტრებს: ეფექტური კოდირების შემდეგ აღდგენილი გამოსახულების ხარისხის ობიქტური და სუბიექტური შედეგები; კოდირებული სიგნალის ხელშეშლამდგრადობა; ეფექტური კოდირების რეალიზაციის სიმარტივე. მაგრამ ძალიან ცუდი მაჩვენებელი აქვს კომპრესიის კოეფიციენტის თვალსაზრისით, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ფერადი გამოსახულების სიგნალების რეალური სატელეკომუნიკაციო არხებით გადაცემისათვის, რადგან 625 სტრიქონის განშლის შემთხვევაში საჭირო იქნება 216 მბიტ/წმ სიჩქარე, რომელიც, თავის მხრივ, ითხოვს უფრო განიერ სიხშირულ ზოლს ანალოგიურ სიგნალ-

თან შედარებით (სტანდარტული ანალოგიური სატელევიზიო არხის სიხშირეთა ზოლის სიგანეა 6...8 მჰც, ხოლო 216 მბიტ/წმ-ის გადასაცემად საჭირო სიხშირეთა ზოლის სიგანე იქნება დაახლოებით 110-150 მჰც). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო ხდება ИКМ სიგნალის კომპრესია [15, 16].

პრაქტიკაში ასევე გამოიყენება წინასწარმეტყველებითი კოდირება, კერძოდ კი დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაცია (ДИКМ), რომელიც წარმოადგენს გამოსახულების სიგნალის ელემენტების მიხედვით კოდირების მეთოდს. შესაბამისად მისი საშუალებით მიღწეული კომპრესიის ფაქტორი მცირეა. დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაციას ახასიათებს აგრეთვე დაბალი ხელშეშლამდგრადობა, რადგან გადაცემული ციფრული ნაკადის რომელიმე სიმბოლოს დამახინჯება იწვევს არა მარტო მისი შესაბამისი ელემენტის, არამედ მომდევნო ელემენტების დამახინჯებასაც. ამჟამად ДИКМ გამოიყენება ჰიბრიდულ სისტემებში და იგი შეხამებულია მოძრაობის კომპენსაციით წინასწარმეტყველებისა და უდანაკარგო კოდირების მეთოდებთან. ადაპტური კოდირების ასეთი შერწყმა გამოყენებულია როგორც უძრავი, ასევე მოძრავი გამოსახულებების კოდირების ყველა სტადარტში [14].

ადაპტურ სისტემებში აგრეთვე გამოიყენება ენტროპიული ანუ სტატისტიკური კოდირება. აღნიშნულ კოდირებას უწოდებენ აგრეთვე “უდანაკარგო კოდირებას”, რადგან მას შეუძლია კოდირების ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემდეგ დარჩენილი სიჭარბის კომპრესია. იგი გამოყენებულია როგორც უძრავი, ასევე მოძრავი გამოსახულებების კოდირების ყველა სტადარტში. მისი ეს თვისება (დარჩენილი სიჭარბის კომპრესია) გამოარჩევს მას კოდირების სხვა მეთოდებისგან, რაც მის ღირსებას წარმოადგენს [19, 20, 21, 22].

კლოდ ელვუდ შენონმა (1916-2001) თავის ნაშრომში “ინფორმაციის თეორია” გამოთქვა თვალსაზრისი, რომ გამოსახულებათა კომპრესიისათვის გამოყენებული ყოფილიყო ბლოკური (ფრაგმენტული) კოდირება. ამ თვალსაზრისზე დამყარებით შეიქმა ვექტორული დაკვანტვის მეთოდი, რომელიც გამოსახულებათა სტატისტიკურ თავისებურებებთან ერთად ითვალისწინებს ადამიანის მხედველობითი აღქმის თავისებურებებს, რაც ამაღლებს კომპრესიის კოეფიციენტს. მაგრამ

ამასთან ერთად კომპრესიის კოეფიციენტის შედარებით მაღალი მნიშვნელობისას ვექტორული დაკვანტვის მეთოდით კოდირებულ გამოსახულებებზე შეიმჩნევა სხვადასხვა სახის სპეციფიკური დამახინჯებები ("ბლოკური სტრუქტურა", "კიბის სტრუქტურა" და "საზღვრების წაშლა") და აგრეთვე დამახინჯებები, რომლებიც დაკავშირებულია მოძრავ ობიექტებთან (მოძრავი ობიექტების გაწელვა) რაც იძლევა შენელებული კადრის ეფექტს. დამახინჯებების გამოსწორებისათვის შემოთავაზებულია რამოდენიმე მეთოდი, რაც ართულებს კოდირების მეთოდის აპარატურულ და ლოგიკურ რეალიზაციას, ხოლო იმის გამო, რომ ვექტორული დაკვანტვის მეთოდი წარმოადგენს დამოუკიდებელ მეთოდს, მისი შერწყმა სხვა მეთოდებთან შეუძლებელია და იგი ვერ გამოიყენება ეგრეტ წოდებულ შეხამებულ (შერწყმულ, ჰიბრიდულ) სისტემებში [23].

ადამიანის მხედველობითი აღქმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს თვალის თვისება, რომელიც გამოიხატება გამოსახულების სიხშირული სპექტრის დიაპაზონის დაშლაში (დანაწილებაში) განსაზღვრული სივრცული ორიენტაციისა და სხვადასხვა სიხშირული ქვედიაპაზონების მქონე ზოლებად. დიდწილად ამ თვისებაზეა დამყარებული გამოსახულებათა სიგნალების პირამიდული კოდირების მეთოდი. რიგ ნაშრომში გაშუქებულია არაორთოგონალური და ორთოგონალური ტიპის პირამიდული აგებების საკითხები. თუმცა ჯერ კიდევ არაა გარკვეული მისი გამოყენების ეფექტურობისა და კოდირების სხვა მეთოდებთან შეხამების საკითხები.

ადამიანის მხედველობის ფსიქოფიზიოლოგიურ თვისებებს ემყარება აგრეთვე ადაპტური ჯგუფური კოდირების მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა გამოსახულების ერთი ელემენტისათვის საჭირო ბიტების რაოდენობა შემცირებული იქნას დაახლოებით 3,8-ჯერ. მაგრამ ამ მეთოდშიც გამოსახულებათა კოდირების აღდგენილი ბლოკების საზღვრებზე შეიმჩნევა დამახინჯებები. დღეისათვის დაუდგენელია კოდირების სხვა მეთოდებთან მისი შეხამებისა და, შესაბამისად, ჰიბრიდულ სისტემებში მისი გამოყენების შესაძლებლობა [24, 25, 26, 27].

წრფივი გარდასახვების გამოყენებით გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების მეთოდი, რომელიც ბლოკური (ფრაგმენტული, ჯგუფური) კოდირების მეთოდებს მიეკუთვნება, იძლევა არა მარტო

საწყისი სიგნალების სტატისტიკური თვისებების, არამედ ადამიანის თვალის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების საშუალებას, რის გამოც მისი გამოყენებისას შეიძლება როგორც სტატისტიკური, ასევე ფსიქოფიზიოლოგიური სიჭარბის კომპრესია. აღნიშნულ მეთოდს საფუძვლად უდევს ისეთი წრფივი გარდასახვების გამოყენება, როგორიცაა: კარუნენ-ლოევის, დისკრეტულ კოსინუსური, უოლშის და მისი ნაირსახეობების (ადამარის, პელის), ჰაარის, ფურიეს, სინგულარული, დახრილი გარდასახვები და სხვა. მათი საშუალებით ტელესაკომუნიკაციო (მათ შორის გამოსახულებათა) სიგნალების ეფექტური კოდირების მიმართულებით აქტიური კვლევები დაიწყო გასული საუკუნის შუა წლებიდან [26, 27].

გამოსახულებათა წრფივი გარდასახვებით კოდირებისას მიიღწევა საწყის ფრაგმენტების ძლიერ კორელირებული ელემენტებიდან გარდასახვის შესაბამისი სივრცეების (ტრანსფორმანტების) მთლიანად დეკორელირებული ან შედარებით სუსტად კორელირებული კოეფიციენტების მიღება, რის შედეგადაც საწყის ფრაგმენტებში ენერგიის თანაბარი განაწილების ნაცვლად მიიღება მისი მკვეთრად არათანაბარი განაწილება ტრანსფორმანტებში. ეს გარემოება იძლევა ტრანსფორმანტის მცირე ენერგიის მქონე კოეფიციენტების საწყისი გამოსახულების ელემენტებთან შედარებით შემცირებული რაოდენობის სიმბოლოებით კოდირების საშუალებას, რითაც ხორციელდება გამოსახულების სიგნალების სტატისტიკური სიჭარბის კომპრესია [28, 29, 30, 31].

გამოსახულებათა წრფივი გარდასახვის მეთოდის გამოყენების დროს, ადამიანის მხედველობითი აღქმის თავისებურებების გათვალისწინება ხდება ტრანსფორმანტების ელემენტების დაკვანტვა-კოდირების პროცესში.

წრფივი გარდასახვებით გამოსახულებათა კოდირების მეთოდის შეხამება სხვა მეთოდებთან იძლევა კარგ შედეგს. მაგალითად, ეფექტურია მისი შეხამება წინასწარმეტყველებით კოდირებასთან გამოსახულების ობიექტების მოძრაობის კომპენსაციის გათვალისწინებით და უდანაკარგო კოდირების მეთოდებთან.

გამოსახულებათა სიგნალების წრფივი გარდასახვებით კოდირებისას ხდება საწყისი ფრაგმენტის N დისკრეტული ანათვლის

(ელემენტის) გარდასახვა ტრანსფორმანტის N კოეფიციენტებად (ჩვეულებრივ $N=2^i$, i=1, 2, …). კოდირების ეს მეთოდი შეიძლება გამოყე-ნებულ იქნას საწყისი გამოსახულების როგორც ერთგანზომილებიანი $1 \times N$ (გამოსახულების სტრიქონული განშლის მიმართულებით), ასევე ორგანზომილებიანი $N \times N$ (კადრის ორგანზომილებიანი ფრაგმენტების გარდასახვა) და სამგანზომილებიანი $N \times N \times N$ ფრაგმენტების დამუ-შავებისათვის. პირველი ორი ვარიანტი მიეკუთვნება შიდასაკადრო, ხო-ლო მესამე – კადრთაშორისი კოდირების მეთოდებს. ამასთანავე, პირ-ველ შემთხვევაში $N= n$, მეორე შემთხვევაში $N= n^2$, ხოლო მესამე შემთხ-ვევაში $N=n^3$, სადაც n გამოსახულების ფრაგმენტის (ბლოკის) სტრი-ქონსა და სვეტში დისკრეტული ანათვლების (ელემენტების, პიქსე-ლების) რაოდენობაა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი გარდასახვისას და კადრების რაოდენობაცაა სამგანზომილებიანი გარ-დასახვის შემთხვევაში. მეტყველების სიგნალების გარდასახვებით კო-დირებისას გამოიყენება ერთგანზომილებიანი გარდასახვა, ვინაიდან ამ კლასის სიგნალები ერთგანზომილებიანია [32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39].

არსებული წრფივი გარდასახვებიდან პირველ რიგში უნდა დახასიათდეს კარუნენ-ლოევის გარდასახვა, რადგან იგი წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურს სრულად დეკორელირებული კოეფიციენტების არსებობის გამო, რის გამოც უზრუნველყოფს სტატისტიკური სიჭარბის სრულად შემცირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში სტატისტიკური სიჭარბის კომპრესიის კოეფიციენტი მაქსიმალურია და აღდგენის საშუალო კვადრატული ცდომილება ნულია. მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ თეორიულად, ვინაიდან მას არ გააჩნია სწრაფი გარდასახვის ალგორითმი, რადგან მოითხოვს საწყისი გამოსახულების სტატისტიკის წინასწარ ცოდნას, რის გამოც ყოველი ფრაგმენტისათვის საჭიროა გარდასახვის შესაბამისი ოპტიმალური ბაზური მატრიცის შერჩევა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მის რეალიზაციას. მიუხედავად მისი არაპრაქტიკულობისა, თეორიულად ამ გარდასახვის განხილვა აუცილებელია, ვინაიდან იგი ოპტიმალურია და პრაქტიკაში გამოყენებულ სხვა გარდასახვების ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ასევე ეფექტურია სინგულარული გარდასახვა მინიმალური საშუალო კვადრატული ცდომილების თვალსაზრისით. მაგრამ მისი განხორციელებისათვის შედარებით უფრო მეტი ოპერაციათა რაოდენობაა საჭირო, ვიდრე კარუნენ-ლოევის გარდასახვისთვის. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მახსოვრობის სისტემებში, სადაც ისე მკაცრად არ არის შეზღუდული გარდასახვისათვის საჭირო განსახორციელებელი ალგორითმების რაოდენობა და მათ შესასრულებლად მოცემული დრო [24, 27, 34, 36, 37, 38, 39].

მონოტონურად და მცირედ ცვლადი სიკაშკაშის მქონე ფრაგმენტებისათვის გამოიყენება აგრეთვე დახრილი გარდასახვა. იგი გამოსადეგია მხოლოდ გამოსახულებათა მცირე ჯგუფისათვის.

კარუნენ-ლოევის გარდასახვასთან ყველაზე ახლო მდგომად ითვლება დისკრეტული კოსინუსური, უოლშის, ფურიეს და ჰაარის გარდასახვები.

გამოსახულების აღდგენის საშუალო კვადრატული ცდომილების მინიმალური მნიშვნელობის გამო, ყველაზე ეფექტურია ფურიეს გარდასახვა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფურიეს გარდასახვის რეალიზაციის სწრაფი ალგორითმი, მისი პრაქტიკაში გამოყენება მაინც შეზღუდულია, რადგან ტრანსფორმანტის კოეფიციენტების გამოთვლისათვის აუცილებელია ჩატარდეს გამოთვლები როგორც მთელ, ასევე კომპლექსურ რიცხვებზე.

არსებული გარდასახვებიდან, პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე მარტივია არის ჰაარის გარდასახვა, მაგრამ მისი გამოყენების შემთხვევაში სტატისტიკური სიჭარბის კომპრესიის კოეფიციენტი მინიმალურია სხვა გარდასახვებთან შედარებით და შესაბამისად იგი ყველაზე ნაკლებად ახდენს საწყისი სიგნალის დეკორელაციას.

გამოსახულების აღდგენის საშუალო კვადრატული ცდომილების მნიშვნელობით დისკრეტული კოსინუსური გარდასახვა ყველაზე ახლო მდგომად ითვლება კარუნენ-ლოევის გარდასახვასთან. პრაქტიკული მნიშვნელობითაც მას გააჩნია გარდასახვის სწრაფი ალგორითმი და იგი შედარებით უფრო მცირე რაოდენობის ოპერაციას საჭიროებს, ვიდრე კარუნენ-ლოევის გარდასახვა. ასეთი თვისებების გამო

დისკრეტული კოსინუსური გარდასახვა წარმოადგენს JPEG და MPEG სტანდარტების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, აღსანიშნავია, რომ ამ გარდასახვის შესაბამისი ბაზური მატრიცის სტრიქონები (გარდა პირველი სტრიქონისა) შეიცავს არამთელ ელემენტებს, რის გამოც ტრანსფორმანტების კოეფიციენტების გამოთვლისას უკვე შეუქცევად შეცდომებთან გვაქვს საქმე. თუმცა ასეთი შეცდომების არსებობა დასაშვებადაა მიჩნეული ადამიანის მხედველობის თავისებურებების გათვალისწინების გამო. ამავე მიზეზით შესაძლებელია დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების დაკვანტვა ამ მიზნით სპეციალურად შერჩეული დაკვანტვის მატრიცების საშუალებით, რაც გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებში.

დისკრეტული კოსინუსური გარდასახვისაგან განსხვავებით უოლშის გარდასახვას და მისი ნაირსახეობებს არ გააჩნიათ მსგავსი ნაკლოვანებები. მიუხედავად ამისა მათი შედარებით დაბალი ეფექტურობის გამო უპირატესობა მაინც ენიჭება დისკრეტულ კოსინუსურ გარდასახვას, რის გამოც სწორედ მისი გამოყენება იქნა რეკომენდებული 1991 წელს კომპანია C-Cube Microsystems-ის სპეციალიტების მიერ შემუშავებულ JPEG (ISO/IEC 10918-1) და შემდგომ MPEG სტანდარტში.

მიღებული რეკომენდაციების და სტანდარტების მიხედვით ფერადი გამოსახულების კომპაქტური კოდირების საწყის ეტაპზე ხორციელდება სიკაშკაშის Y და ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენების დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის 8x8 ზომის ტრანსფორმანტების დაკვანტვა ამ მიზნით მათთვის შერჩეული იმავე ზომის დაკვანტვის ასიმეტრიული Q_y და სიმეტრიული Q_{Crb} მატრიცების გამოყენებით, რომელთა ელემენტების შერჩევა ხორციელდება მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით [9, 14, 21].

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, შესაძლებელია სხვადასხვა გამოსახულების სიკაშკაშის Y შემდგენისთვის, მისი ასიმეტრიულობის გამო, ისეთნაირად იქნას შერჩეული დაკვანტვის Q_y მატრიცის ელემენტები, რომ შესაძლებელი გახდეს კომპრესიის გაუმჯობესება კომპრესირებული გამოსახულებების ობიექტური

ხარისხობრივი მაჩვენებლების (საშუალოკვადრატული ცდომილება, სიგნალისა და ხმაურის ფარდობა და სხვა) შენარჩუნების პირობებში, ან გაუმჯობესდეს ხარისხობრივი მაჩვენებლები კომპრესიის ფაქტორის შენარჩუნებით [9, 14, 15, 19, 21, 31, 34, 40, 41].

ლიტერატურაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კოდირების ბლოკური მეთოდებისა, განიხილება გამოსახულებათა კომპაქტური დამუშავება ვექტორული დაკვანტვის, ვეივლეტ-გარდასახვის და მორფოლოგიური კოდირების საშუალებით [42, 43, 44, 45].

მიუხედავად იმისა, რომ სიგნალების კომპაქტური კოდირების მიზნით ელემენტური (არაბლოკური) მეთოდის გამოყენება დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაციის საფუძველზე იძლევა მცირე ეფექტს კომპაქტური კოდირების თვალსაზრისით, ის მაინც გამოიყენება თანამედროვე სისტემებში კოდირების ბლოკურ მეთოდებთან შეხამებით. ასეთი ადაპტური კოდირება გათვალისწინებულია ზემოთ აღწერილ რეკომენდაციებშიც, რომლებიც გულისხმობს დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის, უდანაკარგო კოდირების, დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაციისა და მოძრაობის კომპენსაციის მეთოდების შერწყმას, რითაც მიიღწევა კოდირების მაღალი ეფექტურობა [1, 2, 3, 4, 14, 15, 21].

მაშასადამე, გამოსახულებათა სიგნალების კომპაქტური კოდირების ადაპტური მეთოდის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის შეხამება გარდასახვის სივრცის (ტრანსფორმანტას) უდანაკარგო კოდირებასთან, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ჰაფმანის ცხრილების გამოყენებით, ასევე ეგრეთ წოდებული არითმეტიკული კოდირებით [14, 15, 21].

სამუშაოს შედეგები და მათი განსჯა

თავი 1. დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების უდანაკარგო ეფექტური კოდირების ბლოკური მეთოდი

1.1. გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების მეთოდი დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის საფუძველზე

ციფრული სიგნალების კომპაქტური კოდირების თვალსაზრისით საუკეთესოდაა მიჩნეული ციფრულ გამოსახულებათა გარდაქმნა, დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის (DCT – Discrete Cosine Transform) გამოყენებით, რომელიც შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს [1, 2, 3].

ციფრულ გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების JPEG და MPEG სტანდარტები ითვალისწინებს გამოსახულებათა 8x8 ზომის [f(x,y)] (x,y=0,1,2,…,7) მატრიცის სახით წარმოდგენილი ფრაგმენტების f(x,y) ელემენტების ერთობლიობის გარდასახვას (პირდაპირი გარდასახვა) და შედეგად მიღებული იმავე ზომის მატრიცის სახით წარმოდგენილი [F(u,v)] (u,v=0,1,2,…,7) ტრანსფორმანტების (გარდასახვის სივრცეების) F(u,v) კოეფიციენტების დაკვანტვას, მათ კოდირებასა და გადაცემას (ან შენახვას). გარდასახულ გამოსახულებათა აღდგენა კი ხორციელდება ტრანსფორმანტების კოეფიციენტების დეკვანტირებითა და შესაბამისი უკუგარდასახვის გამოყენებით. შევნიშნოთ, რომ f(x,y) წარმოადგენს საწყის გამოსახულებათა ფრაგმენტების ელემენტების ინტენსივობებს, ხოლო F(u,v) – გარდასახვის შედეგად მიღებული ტრანსფორმანტების კოეფიციენტების მნიშვნელობებს. უნდა აღინიშნოს, რომ გამოსახულებათა f(x,y) ელემენტების წარმოდგენა ხდება 8-თანრიგა ორობითი რიცხვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ინტენსივობების რაოდენობაა 256 (ინტენსივობათა მნიშვნელობებია 0, 1, 2, …, 255, ანუ თითოეული მათგანის ორობითი კოდირებისათვის საჭიროა 8 სიმბოლო).

პრაქტიკაში გამოიყენება დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის (DCT – Discrete Cosine Transform) ის ვარიანტი, რომლის საბაზო მატრიცას აქვს შემდეგი სახე:

$$[DCT]=\begin{bmatrix} 0,354 & 0,354 & 0,354 & 0,354 & 0,354 & 0,354 & 0,354 & 0,354 \\ 0,490 & 0,416 & 0,278 & 0,098 & -0,098 & -0,278 & -0,416 & -0,490 \\ 0,462 & 0,191 & -0,191 & -0,462 & -0,462 & -0,191 & 0,191 & 0,462 \\ 0,416 & -0,098 & -0,49 & -0,278 & 0,278 & 0,490 & 0,098 & -0,416 \\ 0,354 & -0,354 & -0,354 & 0,354 & 0,354 & -0,354 & -0,354 & 0,354 \\ 0,278 & -0,490 & 0,098 & 0,416 & -0,416 & -0,098 & 0,490 & -0,278 \\ 0,191 & -0,462 & 0,462 & -0,191 & -0,191 & 0,462 & -0,462 & 0,191 \\ 0,098 & -0,278 & 0,416 & -0,490 & 0,490 & -0,416 & 0,278 & -0,098 \end{bmatrix}$$

აღნიშნული ორგანზომილებიანი გარდასახვის [F(u,v)] ტრანსფორმანტები მიიღება შემდეგი მატრიცების გადამრავლებით:

$$[F(u,v)]= [DCT]x[f(x,y)]x[DCT]^T,$$

სადაც $[DCT]^T$ ტრანსპონირებული მატრიცაა.

უკუგარდასახვა (გამოსახულების ფრაგმენტის აღდგენა) კი ხდება შემდეგი გარდაქმნის საფუძველზე:

$$[f(x,y)]= [DCT]^{-1}x[F(u,v)]x[DCT]^{-1T}.$$

ამ გამოსახულებაში “-1” უკუმატრიცის აღმნიშვნელია.

პირდაპირი გარდასახვის შედეგად მიღებული კოეფიციენტების შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობების ერთობლიობა იმის გათვალისწინებით, რომ გამოსახულების ელემენტების ინტენსივობის მაქსიმუმია 255, როგორც შესაბამისმა გამოთვლებმა აჩვენა, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მატრიცის სახით:

$$[F(u,v)]_{\text{მაქს.}} = \begin{bmatrix} 2040 & 924 & 942 & 871 & 1020 & 771 & 942 & 924 \\ 924 & 543 & 654 & 656 & 654 & 600 & 665 & 837 \\ 942 & 654 & 616 & 669 & 804 & 673 & 616 & 681 \\ 871 & 656 & 669 & 502 & 679 & 656 & 652 & 837 \\ 1020 & 654 & 804 & 679 & 510 & 640 & 804 & 590 \\ 771 & 600 & 673 & 656 & 640 & 438 & 656 & 837 \\ 942 & 665 & 616 & 652 & 804 & 656 & 653 & 665 \\ 924 & 837 & 681 & 837 & 590 & 837 & 665 & 837 \end{bmatrix}$$

ცნობილია, რომ გამოსახულების სიკაშკაშის შემდგენის შესაბამისი გარდასახვის კოეფიციენტების დაკვანტვისათვის გამოიყენება მატრიცა $[Q_y]$ და ჰაფმანის კოდი (დაკვანტული $[F(u,v)]$ ტრანსფორმანტების დამატებითი დანაკარგების გარეშე კოდირებისათვის) [47, 48].

$$[Q_y] = \begin{bmatrix} 16 & 11 & 10 & 16 & 24 & 40 & 51 & 61 \\ 12 & 12 & 14 & 19 & 26 & 58 & 60 & 55 \\ 14 & 13 & 16 & 24 & 40 & 57 & 69 & 56 \\ 14 & 17 & 22 & 29 & 51 & 87 & 80 & 62 \\ 18 & 22 & 37 & 56 & 68 & 109 & 103 & 77 \\ 24 & 35 & 55 & 64 & 81 & 104 & 113 & 92 \\ 49 & 64 & 78 & 87 & 103 & 121 & 120 & 101 \\ 72 & 92 & 95 & 98 & 112 & 100 & 103 & 99 \end{bmatrix}$$

$[Q_{r,b}]$ მატრიცა გამოიყენება მხოლოდ ფერადი გამოსახულების ფერსხვაობითი C_r და C_b მდგენელებისათვის.

$$[Q_{r,b}] = \begin{bmatrix} 17 & 18 & 24 & 47 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 18 & 21 & 26 & 66 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 24 & 26 & 56 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 47 & 66 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \\ 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 & 99 \end{bmatrix}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, $[F(u,v)]_{\text{მაქს.}}$ მატრიცის ელემენტების $[Q_y]$ მატრიცის ელემენტებით დაკვანტვის შედეგად მიიღება:

$$[F'(u,v)]_{\text{მაქს.}} = \begin{bmatrix} 128 & 84 & 94 & 54 & 42 & 19 & 19 & 15 \\ 77 & 45 & 47 & 35 & 25 & 10 & 11 & 15 \\ 67 & 50 & 39 & 27 & 20 & 12 & 9 & 13 \\ 62 & 39 & 30 & 17 & 13 & 8 & 8 & 14 \\ 57 & 30 & 22 & 10 & 8 & 6 & 8 & 8 \\ 32 & 17 & 12 & 8 & 8 & 4 & 6 & 9 \\ 19 & 10 & 8 & 8 & 8 & 5 & 5 & 7 \\ 13 & 9 & 7 & 8 & 5 & 8 & 7 & 9 \end{bmatrix}$$

რეალური გამოსახულების დაკვანტვის შედეგად მიღებული F'(u,v) მატრიცის კოდირება ჰაფმანის მეთოდის გამოყენებით გულისხმობს მატრიცის კოეფიციენტების ზიგზაგისებური სკანირების შედეგად მიღებული მიმდევრობის კოდირება ჰაფმანის ცხრილების გამოყენებით [19, 21, 49].

გარდასახვის კოეფიციენტების ზიგზაგისებური სკანირების შემდეგ იმ კოეფიციენტებს, რომელთა შორის არ არსებობს თუნდაც ერთი ნული, ჰაფმანის ცხრილის მიხედვით შეუსაბამებენ სხვადასხვა სიგრძის ორობით კოდს, ხოლო ნულის ან ნულების არსებობის შემთხვევაში ბოლო ნულის შემდგომი კოეფიციენტის კოდირებას ახორციელებენ წინა ნულთან (ან ნულებთან) ერთად ასეთი შემთხვევისათვის შედგენილი ჰაფმანის სპეციალური ცხრილის მიხედვით. სკანირებულ მიმდევრობაში ნულის არატოლი კოეფიციენტების კოდირების დამთავრების შემდეგ კი ფორმირდება ოთხთანრიგა კოდური ჯგუფი EOB (end of blok - ბლოკის დასასრული). იგი წარმოადგენს ოთხთანრიგა ორობით რიცხვს 1010 და აღნიშნავს მოცემული ტრანსფორმანტას კოეფიციენტების კოდირების დამთავრებას.

1.2. დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების უდანაკარგო ეფექტური კოდირების ბლოკური მეთოდი

ჰაფმანის ცხრილით ტრანსფორმანტას კოეფიციენტების კოდირებისას კომპრესიის ფაქტორი საკმაოდ დიდია და იგი იძლევა გამოსახულების შესაბამისი გარდასახვის კოეფიციენტების უდანაკარგო კოდირების შესაძლებლობას. მაგრამ მიუხედავად ამისა გამოსახულებათა სიგნალების ეკონომიური კოდირების ეფექტურობის ამაღლება (შეკუმშვის ფაქტორის გაზრდა) დამატებითი დანაკარგების გარეშე აქტუალური პრობლემაა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შეიძლება მოიძებნოს კოდირების ისეთი მეთოდი, რომელიც მოგვცემს უფრო მეტი კომპრესიის მიღწევის საშუალებას ჰაფმანის მეთოდთან შედარებით.

კომპაქტური კოდირების (კომპრესიის) ეფექტურობა შესაძლებელია თვალნათლივ შეფასდეს შემდეგი პარამეტრების საშუალებით:

1. C – კომპრესიის კოეფიციენტი ($C = M_2/M_1$, სადაც M_1 საწყისი გამოსახულების კოდირებისათვის დახარჯული ბიტების რაოდენობაა, ხოლო M_2 – კომპრესირებული გამოსახულებისათვის საჭირო ბიტების რაოდენობა);

2. კომპრესიის ფაქტორი $F = 1/C = M_1/M_2$.

NxN ზომის გამოსახულებისათვის კომპრესიის ფაქტორი

$$F= m_1 N^2 / \left(\sum_{i=0}^{N-1} \sum_{j=0}^{N-1} m_2(i,j)\right),$$

სადაც: N გამოსახულების სტრიქონების და თითოეულ სტრიქონში არსებული ელემენტების, m_1 – საწყისი გამოსახულების ერთი ელემენტის კოდირებისათვის დახარჯული ბიტების, $m_2(i,j)$ – კომპრესირებული ფრაგმენტის ერთი ელემენტისათვის საშუალოდ გამოყენებული სიმბოლოების რაოდენობებია.

გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების შემოთავაზებული მეთოდის არსი განხილულია $[F_1(u,v)]$ ტრანსფორმანტას მაგალითზე. შევნიშნოთ, რომ ტრანსფორმანტა $[F_1(u,v)]$ მიიღება დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის შედეგად ფორმირებული $[F(u,v)]$ დაკვანტვით. კოდირების შემოთავაზებული მეთოდი ხორციელდება ეტაპობრივად შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ტრანსფორმანტას $F_1(0,0)$კოეფიციენტის დამოუკიდებელი კოდირება. აღნიშნული კოეფიციენტის კოდირებისათვის საკმარისია 7 ბიტი, ვინაიდან დაკვანტვამდე მისი მაქსიმალური მნიშვნელობა თეორიულად შეიძლება იყოს 2040-ის ტოლი (ამ შემთხვევაში გამოსახულების ფრაგმენტის 64-ვე ელემენტის ინტენსივობის ნომერია 255), ხოლო დაკვანტვის შემდეგ – 127. $F_1(0,0)$ კოეფიციენტის 7-ბიტიანი რიცხვით კოდირების შემდეგ $[F_1(u,v)]$ ტრანსფორმანტა, რომელიც შეიცავს მხოლოდ დანარჩენ 63 კოეფიციენტს, შეიძლება წარმოდგეს შემდეგი მატრიცის სახით.

$$[F_1(u,v)]=$$

$$
\begin{array}{cc:cc|cc:cc}
F_1(0,0) & F_1(0,1) & F_1(0,2) & F_1(0,3) & F_1(0,4) & F_1(0,5) & F_1(0,6) & F_1(0,7) \\
F_1(1,0) & F_1(1,1) & F_1(1,2) & F_1(1,3) & F_1(1,4) & F_1(1,5) & F_1(1,6) & F_1(1,7) \\
\hdashline
F_1(2,0) & F_1(2,1) & F_1(2,2) & F_1(2,3) & F_1(2,4) & F_1(2,5) & F_1(2,6) & F_1(2,7) \\
F_1(3,0) & F_1(3,1) & F_1(3,2) & F_1(3,3) & F_1(3,4) & F_1(3,5) & F_1(3,6) & F_1(3,7) \\
\hline
F_1(4,0) & F_1(4,1) & F_1(4,2) & F_1(4,3) & F_1(4,4) & F_1(4,5) & F_1(4,6) & F_1(4,7) \\
F_1(5,0) & F_1(5,1) & F_1(5,2) & F_1(5,3) & F_1(5,4) & F_1(5,5) & F_1(5,6) & F_1(5,7) \\
\hdashline
F_1(6,0) & F_1(6,1) & F_1(6,2) & F_1(6,3) & F_1(6,4) & F_1(6,5) & F_1(6,6) & F_1(6,7) \\
F_1(7,0) & F_1(7,1) & F_1(7,2) & F_1(7,3) & F_1(7,4) & F_1(7,5) & F_1(7,6) & F_1(7,7)
\end{array}
$$

2. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ [$F_1(u,v)$] ტრასფორმანტა შეიცავს თუ არა მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს (1 ბიტი).

იმ შემთხვევაში, როდესაც [$F_1(u,v)$] ტრანსფორმანტას ყველა კოეფიციენტი ნულია, მაშინ ეს ინფორმაცია აღინიშნება სიმბოლო 0-ით, ხოლო თუ ტრანსფორმანტას ერთი კოეფიციენტი მაინც განსხვავდება ნულისგან – სიმბოლო 1-ით. აღსანიშნავია, რომ რეალურ გამოსახულებებში შესაძლებელია ისეთი შემთხვევის არსებობა, რის გამოც შესაბამისი ტრანსფორმანტას კოდირების პროცესი ამ ეტაპზევე დამთავრდება. შესაბამისად, 8-ბიტიანი ინფორმაციით მოხდება ფრაგმენტის კოდირება და შეკუმშვის ფაქტორი იქნება 512/8=64 (ფრაგმენტის ერთი ელემენტის კოდირებისათვის, ნაცვლად 8 ბიტისა, საკმარისი აღმოჩნდება 8/64=0,125 ბიტი.

3. [$F_1(u,v)$] ტრანსფორმანტა დაიყოფა 4x4 ზომის მარცხენა ზედა და ქვედა (ბლოკი 1 და ბლოკი 3) და მარჯვენა ზედა და ქვედა (ბლოკი 2 და ბლოკი 4) 4 ბლოკად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია [$F_1(u,v)$] ტრანსფორმანტაზე და ფორმირდება 3-ბიტიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე-2, მე-3 და მე-4 ბლოკებში შემავალი ყველა კოეფიციენტი არის თუ არა ნულის ტოლი. იმ ბლოკებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს, პირობითად ეწოდებათ ნულოვანი ბლოკები, ხოლო დანარჩენ ბლოკებს – არანულოვანი ბლოკები. ვინაიდან მე-2 პუნქტის შესრულების შედეგად დადგინდა, რომ ტრანსფორმანტას ყველა კოეფიციენტი არაა ნულის ტოლი, ამიტომ ნათელია, რომ 1-ლი ბლოკი არანულოვანია. შედეგად

ფორმირდება შესაბამისი სამთანრიგა კოდური ჯგუფი (თუ ბლოკში ყველა კოეფიციენტი (ან ერთი მაინც) არაა ნულის ტოლი (სიმბოლო 1), ხოლო თუ ყველა კოეფიციენტი ნულის ტოლია (სიმბოლო 0).

4. ოთხ ბლოკად დაყოფილი [$F_1(u,v)$] ტრანსფორმანტას თითოეული ბლოკი დაიყოფა 4 ქვებლოკად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია [$F_1(u,v)$] ტრანსფორმანტაზე და თითოეული ქვებლოკისათვის (გარდა იმ ქვებლოკებისა, რომლებიც ეკუთვნიან ნულოვან ბლოკებს, და 1-ლ ბლოკში შემავალი ქვებლოკებისა, თუ დანარჩენი ბლოკებიდან ერთ-ერთი მაინც არაა ნულოვანი ბლოკი) ფორმირდება 4-ბიტიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვებლოკებში შემავალი ყველა კოეფიციენტი არის თუ არა ნულის ტოლი.

წინა ეტაპის მსგავსად თითოეული ბლოკის ქვებლოკები დანომრილია ტრანსფორმანტას ბლოკების დანომვრის პრინციპით და იმ ქვებლოკებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს, პირობითად ეწოდებათ ნულოვანი ქვებლოკები, ხოლო დანარჩენებს – არანულოვან ქვებლოკები.

5. იმ არანულოვანი ბლოკის ქვებლოკებში ნულის ტოლი და არატოლი კოეფიციენტების დადგენა, რომელიც შეიცავს ნულოვან ქვებლოკებს.

6. პირველი ხუთი პუნქტის შესრულების შედეგად დარჩენილი ქვებლოკების კოეფიციენტების ამპლიტუდურ მნიშვნელობათა კოდირება.

იმის გამო, რომ ტრანსფორმანტების ნულის არატოლი კოეფიციენტების თეორიულად შესაძლო მნიშვნელობები არ აღემატება ისეთ ათობით რიცხვს, რომლისთვისაც საკმარისია 7-თანრიგა კოდი, 3-ბიტიანი კოდით შეიძლება აღინიშნოს მაქსიმალური კოეფიციენტის კოდირებისათვის საჭირო ბიტების რაოდენობა.

7. დარჩენილი კოეფიციენტების ნიშნების (დადებითი და უარყოფითი) აღმნიშვნელი ინფორმაცია.

8. განსახილველად დარჩენილი კოეფიციენტების ამპლიტუდების კოდირება საკმარისი რაოდენობის ბიტებით.

აღნიშნული ეტაპის შესრულებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე მე-7 ეტაპზე დაფიქსირებული კოეფიციენტების ნიშნების სიმბოლოები.

ამრიგად, კოდირების შემოთავაზებული მეთოდი შეიცავს 8 ეტაპს. რაც შეეხება დეკოდირებას, იგი განხორციელდება შესაბამისი ეტაპების შებრუნებული თანმიმდევრობით.

როგორც ჩანს, არც ერთი ეტაპი არ გულისხმობს დანაკარგების ხარჯზე კომპრესიის ფაქტორის გაზრდას.

მაგალითის სახით მოყვანილია გამოსახულების 8x8 ზომის ერთი ფრაგმენტის კოდირება, როგორც ჰაფმანის, ასევე შემოთავაზებული ბლოკური კოდირების მეთოდების გამოყენებით.

რეალური გამოსახულების სიკაშკაშის შემდგენის 8x8 ზომის ერთ-ერთი ფრაგმენტის შესაბამისი f(x,y) ელემენტების ერთობლიობა წარმოდგენილია შემდეგი მატრიცის სახით:

$$[f(x,y)]=\begin{bmatrix} 21 & 35 & 102 & 183 & 210 & 204 & 180 & 150 \\ 73 & 155 & 201 & 209 & 190 & 170 & 162 & 192 \\ 188 & 211 & 196 & 182 & 168 & 170 & 194 & 208 \\ 211 & 189 & 179 & 178 & 180 & 200 & 208 & 205 \\ 177 & 180 & 170 & 187 & 201 & 207 & 205 & 203 \\ 180 & 172 & 195 & 203 & 206 & 203 & 200 & 198 \\ 183 & 202 & 205 & 201 & 199 & 196 & 193 & 193 \\ 203 & 205 & 198 & 198 & 194 & 192 & 192 & 194 \end{bmatrix}$$

აღნიშნული მატრიცის დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის შედეგად მიიღება ტრანსფორმანტა [F(u,v)].

$$[F(u,v)]=\begin{bmatrix} 1467 & -90 & -58 & -21 & 0 & -2 & -4 & -5 \\ -121 & -93 & -69 & -22 & 2 & 0 & -2 & -4 \\ -79 & -51 & -85 & -16 & 4 & -1 & 0 & -1 \\ -60 & -85 & -78 & 27 & 14 & 10 & 6 & 4 \\ -32 & -43 & -5 & 53 & 13 & 14 & 0 & -2 \\ -9 & -8 & 13 & 33 & 2 & 15 & 2 & 3 \\ -4 & -4 & 16 & 22 & 9 & 13 & 0 & 4 \\ -5 & -1 & 9 & 7 & -3 & -6 & -10 & -2 \end{bmatrix}$$

გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების ეფექტურობის ამაღლების მიზნით დამუშავებული JPEG და MPEG სტანდარტებით გათვალისწინებულია გამოსახულების სიკაშკაშის შემდგენის გარდასახვის შედეგად მიღებული ტრანსფორმანტების კოეფიციენტების დაკვანტვა [Q_y] მატრიცით, რის შედეგადაც მიიღება მატრიცა [F_1(u,v)]:

$$[F_1(u,v)]=\begin{bmatrix} 92 & -8 & -6 & -1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ -10 & -8 & -5 & -1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ -6 & -4 & -5 & -1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ -4 & -5 & -4 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ -2 & -2 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}$$

ჰაფმანის მეთოდით ტრანსფორმანტების დაკვანტული კოეფიციენტების კოდირებამდე ხორციელდება კოეფიციენტების ზიგზაგისებური სკანირება, რის შედეგადაც ისინი ლაგდება შემდეგი თანმიმდევრობით: 92, -8, -10, -6, -8, -6, -1, -5, -4, -4, -2, -5, -5, -1, 0, 0, 0, -1, -4, -2, 0, 0, 0, 0, 1, 0, 0, 0, 0, 0, 0, 0, 1, 0, 0, 0, 0, 0, 1, 0, ..., 0 [21].

მოცემულ კოეფიციენტებს, ჰაფმანის ცხრილის მიხედვით შეესაბამება სხვადასხვა სიგრძის ორობითი კოდი. განხილული შემთხვევისათვის კოეფიციენტების შესაბამისი კოდური ჯგუფებია: 92–111111101011100 (15 ბიტი); -8–111100111 (9 ბიტი); -10–111100101 (9 ბიტი); -6 – 1110001 (7 ბიტი); -8–111100111 (9 ბიტი); -6–1110001 (7 ბიტი); -1–100 (3 ბიტი); -5 – 1110010 (7 ბიტი); -4–1110011 (7 ბიტი); -4–1110011 (7 ბიტი); -2–10011 (5 ბიტი); -5 – 1110010 (7 ბიტი); -5–1110010 (7 ბიტი); -1–100 (3 ბიტი); 0,0,0,-1–1110100 (7 ბიტი); -4 –1110011 (7 ბიტი); -2–11001 (5 ბიტი); 0,0,0,0,1–1110111 (7 ბიტი); 0,0,0,0,0,0,0,1–111110101 (9 ბიტი); 0,0,0,0,0,1–11110101 (8 ბიტი); 0, ... ,- 0 (სულ 25 ნული),1010 (EOB) (4 ბიტი).

ამრიგად, განხილული 64-კოეფიციენტიანი ტრანსფორმანტას საბოლოო კოდი იქნება 149-ბიტიანი რიცხვი:

111111101011100111100111111100101111000111110011111100011001110010111
001111100111001111100101110010100111010011100111100111101111111101011
11101011010.

გამოსახულების 8x8 ზომის [f(x,y)] ფრაგმენტის კოდირებისათვის, მისი ყოველი f(x,y) ელემენტის 8 ბიტით წარმოდგენისას, საჭიროა 8x64=512 ბიტი. აღნიშნული ფრაგმენტის გარდასახვის შედეგად კი მიღებული ტრანსფორმანტას კოდირებისათვის საკმარისი აღმოჩნდა 149 ბიტი, რის გამოც შეკუმშვის ფაქტორია 512/149≈3,44. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ საწყისი გამოსახულების ერთი ელემენტის კოდირებისათვის გამოიყენებოდა 8 ბიტი, ამჯერად, კომპაქტური კოდირების შედეგად, საკმარისი აღმოჩნდა 8/3,44≈2,33 ბიტი.

[F_1(u,v)] ტრანსფორმანტას მაგალითზე გამოსახულების კოდირების შემოთავაზებული ბლოკური მეთოდი ხორციელდება ზემოთ აღწერილი ეტაპების შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ტრანსფორმანტას F_1(0,0)კოეფიციენტის დამოუკიდებელი კოდირება. ვინაიდან F_1(0,0)=92, ამიტომ მისი შესაბამისი 7-ბიტიანი ორობითი რიცხვია 1011100.

2. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ [F_2(u,v)] ტრასფორმანტა ნულოვანია თუ არანულოვანი. მოცემულ შემთხვევაში [F_1(u,v)] ტრანსფორმანტას ყველა კოეფიციენტი არაა ნულის ტოლი, რის გამოც ფორმირდება სიმბოლო 1.

3. [F_1(u,v)] ტრანსფორმანტას დაყოფა 4x4 ზომის მარცხენა ზედა და ქვედა (ბლოკი 1 და ბლოკი 3) და მარჯვენა ზედა და ქვედა (ბლოკი 2 და ბლოკი 4) 4 ბლოკად. მოცემულ შემთხვევაში ფორმირდება კოდური ჯგუფი 010, რაც იმას ნიშნავს, რომ მე-3 ბლოკში ყველა კოეფიციენტი (ან ერთი მაინც) არაა ნულის ტოლი (სიმბოლო 1), ხოლო მე-2 და მე-4 ბლოკებში – ყველა კოეფიციენტი ნულის ტოლია (სიმბოლო 0).

4. ოთხ ბლოკად დაყოფილი [F_1(u,v)] ტრანსფორმანტას თითოეული ბლოკის დაყოფა 4 ქვებლოკად. განხილულ მაგალითში ფორმირდება 4-ბიტიანი კოდი (1100) მე-3 ბლოკის ქვებლოკების შესახებ.

5. იმ არანულოვანი ბლოკის ქვებლოკებში ნულის ტოლი და არატოლი კოეფიციენტების დადგენა, რომელიც შეიცავს ნულოვან ქვებლოკებს.

განხილულ მაგალითში ასეთია მე-3 ბლოკი და, ვინაიდან მისი მე-3 და მე-4 ქვებლოკების შემადგენლობის შესახებ უკვე არსებობს ინფორმაცია წინა პუნქტის მიხედვით, ამიტომ განიხილება მხოლოდ აღნიშნული ბლოკის ზედა (1-ლი და მე-2) ქვებლოკები. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში პირველი ქვებლოკისათვის ფორმირდება 4-ბიტიანი კოდი 1100, ხოლო მეორე ქვებლოკისათვის – ასევე 4-ბიტიანი კოდი 0101 (სულ 8 ბიტი). 1-ით აღნიშნულია ნულის არატოლი კოეფიციენტი, ხოლო 0-ით – ნულის ტოლი კოეფიციენტი. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ფორმირდება 8-ბიტიანი რიცხვი 11000101.

პირველი ხუთი პუნქტის შესრულების შედეგად მოცემულ შემთხვევაში დადგენილია 19 კოეფიციენტის კოორდინატები. ამიტომ შემდეგ ეტაპებზე ხორციელდება მხოლოდ მათი ნიშნებისა და მნიშვნელობების კოდირება.

6. პირველი ხუთი პუნქტის შესრულების შედეგად დარჩენილი ქვებლოკების კოეფიციენტების ამპლიტუდურ მნიშვნელობათა კოდირება. რეალური გამოსახულებებისათვის 1-ლი ბლოკის 1-ლ ქვებლოკში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობები აღემატება დანარჩენი კოეფიციენტების მნიშვნელობებს. ამის გამო განხორციელდება 1-ლი ბლოკის 1-ლ ქვებლოკში შემავალი სამივე კოეფიციენტის დამოუკიდებელი კოდირება.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განსახილველად დარჩენილია 1-ლი ბლოკის 1-ლი და დანარჩენი სამი ქვებლოკი და მე-3 ბლოკის 1-ლი და მე-2 ქვებლოკების კოეფიციენტები, ამიტომ აღნიშნული ინფორმაციის დაფიქსირებისათვის საჭიროა 3x3=9 ბიტი. კერძოდ, 1-ლი ბლოკის 1-ლი ქვებლოკის შესაბამისი 3-ბიტიანი კოდი იქნება 100, ვინაიდან მასში შემავალი მაქსიმალური კოეფიციენტის მნიშვნელობაა 10, შესაბამისად მე-2, მე-3 და მე-4 ქვებლოკებისათვის – 011, ხოლო მე-2 ბლოკისათვის – 001. უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია 1 ბიტი, ვინაიდან ამ ბლოკის არანულოვანი კოეფიციენტების მნიშვნელობებია მხოლოდ 2 და 1.

მაშასადამე, კოდირების მოცემულ ეტაპზე ფორმირდება 9-ბიტიანი კოდი 100011001.

7. დარჩენილი კოეფიციენტების ნიშნების (დადებითი და უარყოფითი) აღმნიშვნელი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ეს ინფორმაცია 19-ბიტიანი კოდია, ვინაიდან დარჩენილი კოეფიციენტების რაოდენობაა 19. შემდგომ ხდება 19-ვე კოეფიციენტის სტრიქონული სკანირება. კოეფიციენტების დადებითი ნიშანი აღინიშნება 1-ით, უარყოფითი – 0-ით. სკანირებისას გამოტოვებული იქნება მე-3 ბლოკის 1-ლი და მე-2 ქვებლოკების ნულის ტოლი კოეფიციენტები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ფორმირებულია მე-5 ეტაპზე. გარდა ამისა, თუ ამ ეტაპზე განსახილველი კოეფიციენტებიდან რომელიმე მათგანი ნულის ტოლია, მაშინ ის პირობითად ჩაითვლება დადებითად (მოცემულ შემთხვევაში 19-ვე კოეფიციენტი ნულის არატოლია). შესაბამისად სტრიქონულად სკანირებული კოეფიციენტები დალაგდება შემდეგი თანმიმდევრობით: $F_1(0,1)$, $F_1(0,2)$, $F_1(0,3)$, $F_1(1,0)$, $F_1(1,1)$, $F_1(1,2)$, $F_1(1,3)$, $F_1(2,0)$, $F_1(2,1)$, $F_1(2,2)$, $F_1(2,3)$, $F_1(3,0)$, $F_1(3,1)$, $F_1(3,2)$, $F_1(3,3)$, $F_1(4,0)$, $F_1(4,1)$, $F_1(4,3)$, $F_1(5,3)$.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოცემული მაგალითისათვის 19-ბიტიან მიმდევრობას ექნება შემდეგი სახე: 0000000000000010011, სადაც 0-ით აღნიშნულია უარყოფითი ნიშანი, ხოლო 1-ით – დადებითი.

8. განსახილველად დარჩენილი კოეფიციენტების ამპლიტუდების კოდირება საკმარისი რაოდენობის ბიტებით.

აღნიშნული ეტაპის შესრულებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე მე-7 ეტაპზე დაფიქსირებული კოეფიციენტების ნიშნების სიმბოლოები, ამიტომ განსახილველ მაგალითში 1-ლი და მე-3 ბლოკების კოეფიციენტების ნიშნებისა და ამპლიტუდების კოდირებისათვის საკმარისი ბიტების რაოდენობა განაწილდება შემდეგნაირად:

1-ლი ბლოკის 1-ლი ქვებლოკი (იგი შედგება 3 კოეფიციენტისაგან) მაქსიმალური კოეფიციენტისათვის – 1 (ნიშანი) + 4 (ამპლიტუდა)=5 ბიტი (სულ 3 კოეფიციენტისათვის – 15 ბიტი). აღნიშნულის გათვალისწინებით, 1-ლი ბლოკის 1-ლი ქვებლოკის კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 5-ბიტიანი კოდური ჯგუფებია: -8 (01000); -10 (01010); -8 (01000).

1-ლი ბლოკის მე-2 ქვებლოკის (იგი შედგება 4 კოეფიციენტისაგან) მაქსიმალური კოეფიციენტისათვის – 4 ბიტი (სულ ოთხივე კოეფიციენტისათვის – 16 ბიტი). კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 4 - ბიტიანი (ნიშნის ჩათვლით) კოდური ჯგუფებია: -6 (0110); -1 (0001); -5 (0101); -1 (0001).

1-ლი ბლოკის მე-3 ქვებლოკის (იგი შედგება 4 კოეფიციენტისაგან) მაქსიმალური კოეფიციენტისათვის – 4 ბიტი (სულ ოთხივე კოეფიციენტისათვის – 16 ბიტი). კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 3-ბიტიანი კოდური ჯგუფებია: -6 (0110); -4 (0100); -4 (0100); -5 (0101).

1-ლი ბლოკის მე-4 ქვებლოკის (იგი შედგება 4 კოეფიციენტისაგან) მაქსიმალური კოეფიციენტისათვის – 4 ბიტი (სულ ოთხივე კოეფიციენტისათვის – 16 ბიტი). კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 4-ბიტიანი კოდური ჯგუფებია: -5 (0101); -1 (0001); -4 (0100); 1 (1001).

მე-3 ბლოკის 1-ლი ქვებლოკის განსახილველად დარჩენილი 2 კოეფიციენტიდან თითოეულისათვის 2 ბიტი (სულ ორივე კოეფიციენტისათვის – 4 ბიტი). კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 2-ბიტიანი კოდური ჯგუფებია: -2 (01); -2 (01).

მე-3 ბლოკის მე-2 ქვებლოკის განსახილველად დარჩენილი 2 კოეფიციენტიდან თითოეულისათვის – 2 ბიტი (სულ ორივე კოეფიციენტისათვის – 4 ბიტი). კოეფიციენტების მნიშვნელობები და შესაბამისი 2-ბიტიანი კოდური ჯგუფებია: 1 (10); 1 (10).

მაშასადამე, მე-8 ეტაპზე განსახილველი კოეფიციენტების მნიშვნელობათა კოდირებისათვის საჭიროა 52-ბიტიანი კოდი.

იმ შემთხვევაში, თუ კოეფიციენტების შესაბამის კოდები დალაგდება სტრიქონული სკანირების თანმიმდევრობით, მაშინ აღნიშნული 71-ბიტიანი კოდია: 10000101001000011000010101000101100100010001010101000101001001010110 10. თუ სიმბოლოთა მიღებულ თანმიმდევრობას წინ დაემატება 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ეტაპებზე დადგენილ სიმბოლოთა მიმდევრობები, მაშინ მიიღება 103-ბიტიანი რიცხვი: 1011100101011 0011000101100011001010000101001000011000010101000101100100010001010101000101 0010010101 1010.

ამრიგად, შემოთავაზებული მეთოდის საფუძველზე დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტას უდანაკარგო ეკონომიური კოდირებისას მოცემულ შემთხვევაში საკმარისი აღმოჩნდა 103 ბიტი მაშინ, როდესაც ჰაფმანის კოდების გამოყენებისას საჭირო იყო 149 ბიტი. შესაბამისად, განხილული მეთოდის შემთხვევაში შეკუმშვის ფაქტორია 512/103≈4,97 მაშინ, როდესაც ჰაფმანის კოდების გამოყენების შემთხვევაში მისი მნიშვნელობაა 3,44. ამიტომ შემოთავაზებულმა მეთოდმა მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყო გამოსახულების ერთ ელემენტზე მოსული ბიტების რაოდენობის შემცირება 8 ბიტიდან 1,61 ბიტამდე (ჰაფმანის კოდის გამოყენების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი შემცირდა 8 ბიტიდან 2,33 ბიტამდე).

წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების უდანაკარგო კოდირება შემოთავაზებული მეთოდის საფუძველზე გამოირჩევა მეტი ეფექტურობით იმავე მიზნით ჰაფმანის კოდების გამოყენებასთან შედარებით. მაგრამ ცალსახად იმის თქმა, რომ აღნიშნული კოდირება ყოველთვის ეფექტურია ჰაფმანის მეთოდთან შედარებით არ შეიძლება, რადგან ეს მაგალითი იყო მხოლოდ ერთი ტრანსფორმანტასათვის.

შემოთავაზებული მეთოდის ეფექტურობის დასადგენად საჭიროა მთლიანი 256x256 ფორმატის ფერადი გამოსახულების, როგორც სიკაშკაშის Y, ასევე ორი ფერსხვაობის C_b და C_r შემდგენების ამ მეთოდით კოდირება და მათი შედარება ჰაფმანის მეთოდით კოდირებულ გამოსახულებასთან.

1.3. უდანაკარგოდ კოდირებული წრფივი გარდასახვის ტრანსფორმანტების დეკოდირების ალგორითმი

წინა პარაგრაფში განხილულია რეალური გამოსახულების 8x8 ზომის ერთ-ერთი ფრაგმენტის ბლოკური კოდირების მაგალითი. შემუშავებული მეთოდი განხორციელებულია დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის ტრანსფორმანტების ეტაპებად დამუშავებით. ტრანსფორმანტების კოეფიციენტების 103-ბიტიანი ორობითი რიცხვის

(1011100101011001100010110001100101000010100100001100001010100010110010001000 101010100010100100101011010) საშუალებით სრულყოფილად (100%-ით) აღდგენის (დეკოდირების) ალგორითმის არსი მდგომარეობს შემდეგში:

1. გარდასახვის [F_1(u,v)] ტრანსფორმანტების კოდირების მეთოდის მიხედვით 1-ლ ეტაპზე ხდება ტრანსფორმანტას F_1(0,0) კოეფიციენტის კოდირება 7-ბიტიანი ორობითი რიცხვით. ამიტომ, ვინაიდან აღნიშნული მიმდევრობის პირველ შვიდ სიმბოლოს (1011100) შეესაბამება ათობითი რიცხვი 92, ამიტომ დეკოდირებისას აღდგება კოეფიციენტი F_1(0,0)=92.

2. კოდირების მე-2 ეტაპზე ფორმირდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ [F_1(0,0)] კოეფიციენტის გარეშე წარმოდგენილი ტრასფორმანტა [F_2(u,v)] შეიცავს თუ არა მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს (1 ბიტი – 0 ან 1). მოცემულ მიმდევრობაში ამ ინფორმაციის აღმნიშვნელია მე-8 სიმბოლო 1, რაც ნიშნავს, რომ ტრანსფორმანტა არანულოვანია. [F_2(u,v)] ტრანსფორმანტა [F_1(u,v)] ტრანსფორმანტასგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ იგი არ შეიცავს F_1(0,0) კოეფიციენტს.

3. კოდირების პროცესის მე-3 ეტაპზე 8x8 ზომის [F_2(u,v)] ტრანსფორმანტა დაიყოფა 4x4 ზომის 4 ბლოკად ისე, როგორც ეს [F_1(u,v)] ტრანსფორმანტაზეა ნაჩვენები, და ფორმირდება 3-ბიტიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარჯვენა ზედა და ქვედა (მე-2 და მე-4 ბლოკები) და მარცხენა ქვედა (ბლოკი 3) ბლოკებში შემავალი ყველა კოეფიციენტი არის თუ არა ნულის ტოლი. აღსანიშნავია, იმ ბლოკებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს, ეწოდება ნულოვანი ბლოკები, ხოლო დანარჩენებს – არანულოვანი ბლოკები.

განსახილველ მიმდევრობაში აღნიშნული ინფორმაციის მატარებელია მომდევნო მე-9, მე-10 და მე-11 სიმბოლოები (010), რაც იმას ნიშნავს, რომ 8x8 ზომის [F_2(u,v)] ტრანსფორმანტას მე-2 და მე-4 ბლოკების ყველა კოეფიციენტი ნულის ტოლია, ხოლო მე-3 ბლოკის ყველა კოეფიციენტი არაა ნულის ტოლი: $F_1(0,4)=F_1(0,5)=F_1(0,6)=F_1(0,7)= F_1(1,4)=F_1(1,5)=F_1(1,6)=F_1(1,7)=F_1(2,4)=F_1(2,5)=F_1(2,6)=F_1(2,7)=F_1(3,4)=F_1(3,5)=F_1(3,6)=F_1(3,7)=F_1(4,4)=F_1(4,5)=F_1(4,6)=F_1(4,7)=F_1(5,4)=F_1(5,5)=F_1(5,6)=F_1(5,7)=F_1(6,4)=F_1(6,5)=F_1(6,6)=F_1(6,7)=F_1(7,4)=F_1(7,5)=F_1(7,6)=F_1(7,7)=0$.

ამრიგად, დეკოდირებისას აღდგება [$F_2(u,v)$] ტრანსფორმანტას მე-2 და მე-4 ბლოკების 32-ვე კოეფიციენტი.

4. მე-4 ეტაპზე ხორციელდება ოთხ ბლოკად დაყოფილი [$F_2(u,v)$] ტრანსფორმანტას თითოეული ბლოკის დაყოფა 4x4 ზომის 4 ქვებლოკად და თითოეული ქვებლოკისათვის (გარდა იმ ქვებლოკებისა, რომლებიც ეკუთვნიან ნულოვან ბლოკებს, და 1-ლ ბლოკში შემავალი ქვებლოკებისა, თუ დანარჩენი ბლოკებიდან ერთ-ერთი მაინც არაა ნულოვანი ბლოკი) ფორმირდება 4-ბიტიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვებლოკებში შემავალი ყველა კოეფიციენტი არის თუ არა ნულის ტოლი.

წინა ეტაპის მსგავსად თითოეული ბლოკის ქვებლოკები დანომრილია ტრანსფორმანტას ბლოკების დანომვრის პრინციპით და იმ ქვებლოკებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ნულის ტოლ კოეფიციენტებს, ეწოდებათ ნულოვანი ქვებლოკები, ხოლო დანარჩენებს – არანულოვანი ქვებლოკები.

ვინაიდან მე-3 ეტაპზე დადგინდა, რომ გარდა ტრანსფორმანტას 1-ლი ბლოკისა, არანულოვანია მე-3 ბლოკი, ამიტომ კოდირების პროცესში მხოლოდ მე-3 ბლოკის ქვებლოკებისათვის ფორმირდება 4-ბიტიანი კოდი, რომლის სიმბოლოებს წარმოდგენილ 103-ბიტიან რიცხვში უჭირავს მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 პოზიციები. აღნიშნული 4-ბიტიანი კოდია 1100, რაც დეკოდერისათვის იმას ნიშნავს, რომ მე-3 ბლოკის მხოლოდ მე-3 და მე-4 ქვებლოკებია ნულოვანი, ანუ მათში შემავალი ყველა კოეფიციენტი ნულის ტოლია: $F_1(6,0)= F_1(6,1)= F_1(7,0)= F_1(7,1)= F_1(6,2)= F_1(6,3)= F_1(7,2)= F_1(7,3)=0$.

ამრიგად, დეკოდირებისას აღდგება [$F_2(u,v)$] ტრანსფორმანტას მე-3 ბლოკის მე-3 და მე-4 ქვებლოკების რვავე კოეფიციენტი.

5. იმ არანულოვანი ბლოკის ქვებლოკებში ნულის ტოლი და არატოლი კოეფიციენტების დადგენა, რომელიც შეიცავს ნულოვან ქვებლოკებს.

წინა ეტაპზე ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე დეკოდირებისას დგინდება, რომ მე-3 ბლოკის მხოლოდ 1-ლი და მე-2 ქვებლოკებია არანულოვანი და მათი შესაბამისი ინფორმაციაა განსახილველი 103-ბიტიანი რიცხვის მომდენო 8-ბიტი (მე-16, მე-17, ..., 23-ე პოზიციები), რომელთაგან 1-ლი ქვებლოკისათვის კოდირების პროცესში

ფორმირდა 4-ბიტიანი კოდი 1100, ხოლო მე-2 ქვებლოკისათვის – ასევე 4-ბიტიანი კოდი 0101. შევნიშნავთ, რომ 1-ით აღნიშნულია ნულის არატოლი კოეფიციენტი, ხოლო 0-ით – ნულის ტოლი კოეფიციენტი.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დეკოდერი ადგენს, რომ $F_1(4,0)\neq0$, $F_1(4,1)\neq0$, $F_1(4,3)\neq0$, $F_1(5,3)\neq0$ და $F_1(4,2)=F_1(5,0)=F_1(5,1)=F_1(5,2)=0$.

დეკოდირების შედეგად ამ ეტაპზე აღდგება მე-3 ბლოკის 1-ლი და მე-2 ქვებლოკების 4 კოეფიციენტი.

მაშასადამე, დეკოდირების პროცესის მე-5 ეტაპის დამთავრების შემდეგ $F_1(u,v)$ ტრანსფორმანტას აღდგენილი კოეფიციენტების რაოდენობაა 1 (I ეტაპი)+32 (III ეტაპი)+8 (IY ეტაპი)+4 (Y ეტაპი)=45, რის გამოც აღსადგენია დანარჩენი 19 კოეფიციენტი, რომელთა კოორდინატები ცნობილია.

6. მოცემულ 103-ბიტიან მიმდევრობაში 24-ე, 25-ე, ..., 32-ე პოზიციებზე არსებული სიმბოლოების ერთობლიობა (9-ბიტიანი კოდი) შეიცავს ინფორმაციას ტრანსფორმანტას 1-ლ ბლოკსა (3 ბიტი) და მე-3 ბლოკის 1-ლ (3 ბიტი) და მე-2 (3 ბიტი) ქვებლოკებში მაქსიმალური მნიშვნელობის კოეფიციენტების ამპლიტუდის კოდირებისათვის საჭირო ბიტების რაოდენობის შესახებ. მოცემულ მიმდევრობაში 9-ბიტიანი კოდია 100011001, რაც იმას ნიშნავს, რომ 1-ლი ბლოკის 1-ლი ქვებლოკის 3 კოეფიციენტის ამპლიტუდა წარმოდგენილია 4-ბიტიანი კოდებით, ამავე ბლოკის მე-2, მე-3 და მე-4 ქვებლოკების 4-4 კოეფიციენტისა (სულ 12 კოეფიციენტი) – 3-ბიტიანი კოდებით, ხოლო მე-3 ბლოკის 4 $F_2(4,0)$, $F_2(4,1)$, $F_2(4,3)$ და $F_2(5,3)$ კოეფიციენტისა – 1-ბიტიანი კოდებით.

7. დარჩენილი 19 კოეფიციენტის ნიშნების აღმნიშვნელი ინფორმაცია (19-ბიტიანი კოდი 0000000000000010011) მოცემულ 103-ბიტიან მიმდევრობაში გადანაწილებულია და შესაბამისი სიმბოლო ჩასმულია კოეფიციენტის ამპლიტუდის აღმნიშვნელი ორობითი რიცხვის წინ.

აღნიშნული 19-ბიტიანი კოდის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ $F_1(0,1)$, $F_1(0,2)$, $F_1(0,3)$, $F_1(1,0)$, $F_1(1,1)$, $F_1(1,2)$, $F_1(1,3)$, $F_1(2,0)$, $F_1(2,1)$, $F_1(2,2)$, $F_1(2,3)$, $F_1(3,0)$, $F_1(3,1)$, $F_1(3,2)$, $F_1(4,0)$ და $F_1(4,1)$ კოეფიციენტები უარყოფითია, ხოლო $F_1(3,3)$, $F_1(4,3)$ და $F_1(5,3)$ კოეფიციენტები – დადებითი. 103-ბიტიან მიმდევრობაში შესაბამისი 71-ბიტიანი რიცხვია – 01000010100100001100001010100010110010001000101010100010100100101011010.

8. დეკოდირების მოცემულ ეტაპზე ხდება 71-ბიტიანი მიმდევრობის ანალიზი წინა პუნქტებზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

ამ მიმდევრობის პირველი ხუთი სიმბოლო შეესაბამება $F_2(0,1)$ კოეფიციენტის ნიშანსა და მის ამპლიტუდურ მნიშვნელობას, შემდეგი ოთხი სიმბოლო – $F_2(0,2)$ კოეფიციენტის ნიშანსა და ამპლიტუდას და ასე შემდეგ 71-ბიტიანი მიმდევრობის ბოლო 2 სიმბოლო – $F_2(5,4)$ კოეფიციენტის ნიშანსა და ამპლიტუდას:

01000 – $F_2(0,1) = -8$; 0110 – $F_2(0,2) = -6$; 0001 – $F_2(0,3) = -1$; 01010 – $F_2(1,0) = -10$; 01000 – $F_2(1,1) = -8$; 0101 – $F_2(1,2) = -5$; 0001 – $F_2(1,3) = -1$; 0110 – $F_2(2,0) = -6$; 0100 – $F_2(2,1) = -4$; 0101 – $F_2(2,2) = -5$; 0001 – $F_2(2,3) = -1$; 0100 – $F_2(3,0) = -4$; 0101 – $F_2(3,1) = -5$; 0100 – $F_2(3,2) = -4$; 1001 – $F_2(3,3) = 1$; 01 – $F_2(4,0) = -2$; 01 – $F_2(4,1) = -2$; 10 – $F_2(4,3) = 1$; 10 – $F_2(5,3) = 1$.

ამრიგად, განხილული ალგორითმის საფუძველზე აღდგება დისკ-რეტული კოსინუსური გარდასახვის უდანაკარგოდ და ეკონომიურად კოდირებული ტრანსფორმანტას ყველა კოეფიციენტი, რომელთა ერთობლიობა წარმოადგენს $[F_1(u,v)]$ მატრიცას. მისი კოეფიციენტების დეკვანტირების შედეგად ფორმირებული $[F(u,v)]$ მატრიცის უკუგარდასახვით კი აღდგება გამოსახულების ფრაგმენტი $[f(x,y)]$.

1.4. ბლოკური კოდირების მეთოდის ეფექტურობა

გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების ბლოკური მეთოდით კოდირების ეფექტურების დასადგენად საჭიროა მთლიანი 256x256 ფორმატის ფერადი გამოსახულების როგორც სიკაშკაშის Y, ასევე ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენის ამ მეთოდით კოდირება და მიღებული შედეგების შედარება არსებულთან. ფერადი გამოსახულების შესაბამისი სიკაშკაშის შემდგენი $Y=0,2989xR+0,5866xG+0,1145xB$, ხოლო ფერსხვაობითი შემდგენები – $C_r=0,5000xR-0,4184xG-0,0816xB$ და $C_b=-0,1688xR-0,3312xG+0,5000xB$, სადაც R, G და B გამოსახულების წითელი, მწვანე და ლურჯი შემდგენებია.

კომპაქტური კოდირების ბლოკური მეთოდის ეფექტურობის დადგენის მიზნით საცდელად შერჩეული იქნა ძალიან მცირე, მცირე,

საშუალო და მაღალი დეტალობით გამორჩეული 256x256 ფორმატის ფერადი გამოსახულებები ”ფონი”, “ლენა”,”ალუბლები” და “ზამთარი” (სურ. 1). სიკაშკაშის შემდგენის ფრაგმენტების რაოდენობაა 32x32=1024, ხოლო თითოეული ფერსხვაობითი შემდგენისათვის – 16x16=256.

ა

ბ

გ

დ

ე

ვ

ზ

თ

ი

კ

ლ

მ

  

ნ ო პ

  

ჟ რ ს

 

ტ უ ფ

  

ქ ღ ყ

  

შ ჩ ც



ძ წ ჭ

სურ. 1. ორიგინალური საცდელი გამოსახულებები: “ლენა” (ა), “ბიონსე” (ბ), “ბუნება” (გ), “ნაგაზი” (დ), “თიბისი” (ე), “კატა” (ვ), “ციხესიმაგრე” (ზ), “ბავშვები” (თ), “ალუბლები” (ი), “კროსი” (კ), “ფერმა” (ლ), “პარკი” (მ), “კენკრა” (ნ), “დაისი” (ო), “ზამთარი” (პ), “გარნიტური” (ჟ), “შროშანი” (რ), “მთები” (ს), “ტბა” (ტ), “მაღაზია” (უ), “კარუსელი” (ფ), “შემოდგომა” (ქ), “კოშკი” (ღ), “კოლიზეუმი” (ყ), “ტექსტი” (შ), “ფონი” (ჩ), “ღრუბელი” (ც), “მამადავითი” (ძ), “ფუნიკულორი” (წ) “ტელეანძა” (ჭ).

ცხრილში 1 მოყვანილია კოდირების არსებული და შემოთავაზებული ვარიანტების გამოყენებისას საჭირო შესაბამისი ბიტების რაოდენობები როგორც გამოსახულებების Y, C_r, C_b შემდგენებისათვის, ასევე სრული სიგნალისათვის. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი: ძალიან მცირე დეტალობის გამოსახულების (“ფონი”) შემოთავაზებული მეთოდით კოდირებისას მიიღწევა უფრო მეტი კომპრესიის ფაქტორი არსებულ მეთოდთან შედარებით; მცირე და საშუალო დეტალობის გამოსახულებების (“ლენა”, “ალუბლები”) კოდირებისას შემოთავაზებული მეთოდით უფრო მეტი კომპრესიის ფაქტორი არსებულ მეთოდთან შედარებით მიიღება სიკაშკაშის შემდგენისათვის, ხოლო ფერსხვაობითი შემდგენებისათვის – უარესი შედეგი; მაღალი დეტალობის გამოსახულების (“ზამთარი”) შემოთავაზებული მეთოდით კოდირებისას სამივე შემდგენისათვის შედეგები უარესია. არსებული და შემოთავაზებული ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევით (კოდირების პროცესის ადაპტაციით) პირველი სამი გამოსახულების შესაბამისი სრული სიგნალისათვის მიიღება უკეთესი შედეგი არსებულთან შედარებით. ცხრილის მონაცემებში გათვალისწინებულია შეხამებული კოდირების შემთხვევაში კოდირების ვარიანტის შესახებ დამატებითი ერთი საინფორმაციო სიმბოლოს გამოყენების აუცილებლობა.

ცხრილი 1. ფერადი გამოსახულებების კოდირებისათვის საჭირო ბიტების რაოდენობა

საცდელი გამოსახუ-ლებები	არსებული მეთოდით				შემოთავაზებული მეთოდით				შეხამებული მეთოდით
	Y	C_r	C_b	სულ	Y	C_r	C_b	სულ	სულ
"ფონი"	8307	1164	1180	10651	**5613**	**879**	**914**	**7406**	**7407**
"ლენა"	55771	**4108**	**4323**	64202	**55287**	5221	5566	66074	**63719**
"ალუბ-ლები"	64684	**7524**	**5174**	77382	**64603**	7612	6004	78219	**77302**
"ზამთა-რი"	**66563**	**3017**	**4286**	**73866**	66617	4215	4901	75733	**73867**

თუ გამოსახულების ერთ ელემენტზე დახარჯული ბიტების რაოდენობას ავღნიშნავთ P-თი, მაშინ კოდირების არსებული და შემოთავაზებული მეთოდების გამოყენებისას იგი გამოითვლება გამოსახულებისათვის დახარჯული სიმბოლოების ჯამური რაოდენობების გაყოფით საცდელი გამოსახულებების ელემენტების რაოდენობაზე (256x256=65536). ვინაიდან საწყისი გამოსახულების თითოეული ელემენტის სამივე შემდგენიდან ყოველი მათგანისათვის საჭიროა 8 ბიტი, ამიტომ სრული სიგნალის თითოეული ელემენტისათვის დაიხარჯება 24 ბიტი, რის გამოც კომპრესიის ფაქტორი F=24/P (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ფერადი გამოსახულებების კომპაქტური ბლოკური კოდირების ეფექტურობა

საცდელი გამოსახულებები	არსებული მეთოდით		შემოთავაზებული მეთოდით		შეხამებული მეთოდით	
	P	F	P	F	P	F
"ფონი"	0.163	147.24	**0.113**	**212.39**	**0.113**	**212.39**
"ლენა"	0.980	24.49	1.008	23.80	**0.972**	**24.69**
"ალუბლები"	1.181	20.32	1.194	20.10	**1.180**	**20.34**
"ზამთარი"	**1.127**	**21.30**	1.156	20.76	**1.127**	**21.30**

თავი 2. გამოსახულებათა კომპაქტური კოდირების ზონური მეთოდები

2.1. ფერად გამოსახულებათა დაკვანტული არამთავარი კოეფიციენტების ჰისტოგრამები

პროგრამა MathCad-ის საშუალებით აგებულია ტრანსფორმანტების დაკვანტული არამთავარი კოეფიციენტების ჰისტოგრამები საცდელი ფერადი ძალიან მცირე, მცირე, საშუალო და მაღალი დეტალობით გამორჩეული გამოსახულებების “ფონი” (ნახ. 2), “ლენა” (ნახ. 3), “ალუბლები” (ნახ. 4) და “ზამთარი” (ნახ. 5) სიკაშკაშის Y და ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენებისათვის.



ნახ. 2. საცდელი ფერადი გამოსახულების “ფონი” შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ჰისტოგრამები.

Y



C_r



C_b



ნახ. 3. საცდელი ფერადი გამოსახულების “ლენა” შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ჰისტოგრამები.



ნახ. 4. საცდელი ფერადი გამოსახულების “ალუბლები” შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ჰისტოგრამები.



ნახ. 5. საცდელი ფერადი გამოსახულების “ზამთარი” შემდგენების შესაბამისი ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მასივის ჰისტოგრამები.

წარმოდგენილი ჰისტოგრამებიდან ნათლად ჩანს, რომ დაკვანტული ტრანსფორმანტების არამთავარი კოეფიციენტების მნიშვნელობები სამივე შემდგენისათვის ნულის მიდამოშია განლაგებული, რაც მიუთითებს მათი უდანაკარგო კომპრესიის ეფექტურობაზე.

2.2. გამოსახულებათა გადასახული ტრანსფორმატების ზონური კოდირების ალგორითმი

ფერადი NxN ზომის გამოსახულებების კომპრესიის (ეფექტური კოდირების) მიზნით საერთაშორისო JPEG და MPEG რეკომენდაციების შესაბამისად ხდება გამოსახულებების სიკაშკაშის Y შემდგენის NxN რაოდენობის დისკრეტული ანათვლების (ელემენტების) და ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენების (N/2)x(N/2) რაოდენობის ელემენტების მასივების 8x8 ზომის ფრაგმენტების $f(x,y)_{x,y=0,1,\ldots,7}$ ელემენტებისაგან შედგენილი მატრიცების წრფივი დისკრეტული კოსინუსური გარდასახვა, რის შედეგადაც მიღებული იმავე ზომის ტრანსფორმანტების დაკვანტვის შემდეგ ფორმირდება მთავარი $F(u,v)_{u,v=0}$ და არამთავარი $F(u,v)_{u,v=1,2,\ldots,7}$ კოეფიციენტების მასივი. ტრანსფორმანტების კოეფიციენტების კომპაქტური უდანაკარგო კოდირების მიზნით აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებულია გამოსახულების ყველა ფრაგმენტის შესაბამისი მთავარი კოეფიციენტების ერთობლიობის კოდირება ჰაფმანის კოდების გამოყენებით, ხოლო არამთავარი კოეფიციენტების ზიგზაგ-ჰორიზონტალურად სკანირებული ერთგანზომილებიანი მიმდევრობის კომპაქტური კოდირება ხორციელდება ამ მიზნით შედგენილი ჰაფმანის ცხრილების საფუძველზე [19, 21].

აღსანიშნავია, რომ გამოსახულებების დისკრეტული კოსინუსური გარდასახვისა და ამ გზით ფორმირებული ტრანსფორმანტების დაკვანტვა თავისთავად იწვევს ნაწილობრივ დანაკარგებს, რაც უმნიშვნელოა აღდგენილი გამოსახულებების ხარისხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით, რის გამოც აღნიშნული დანაკარგები დაშვებულია ზემოაღნიშნული რეკომენდაციებით. რაც შეეხება უდანაკარგო კოდირებას ჰაფმანის ცხრილების გამოყენებით, გამოსახულებათა დამუშავების ამ ეტაპზე მიიღწევა მონაცემთა (გარდასახვის დაკვანტული ტრანსფორმანტების) უდანაკარგო კომპრესია [1, 2, 3, 4, 14, 21].

აღნიშნული ორგანზომილებიანი გარდასახვის დაკვანტული [F(u,v)] ტრანსფორმანტები მიიღება შემდეგი მატრიცების

გადამრავლებით: $[F(u,v)]= ([DCT]x[f(x,y)]x[DCT]^T)/Q$, სადაც $[DCT]^T$ დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის 8x8 ზომის საბაზო [DCT] მატრიცის ტრანსპონირებული მატრიცაა, ხოლო Q – იმავე ზომის დაკვანტვის მატრიცაა [49, 50].

უკუგარდასახვა (გამოსახულების ფრაგმენტის აღდგენა) კი ხდება შემდეგი უკუგარდაქმნის საფუძველზე: $[f(x,y)]=Q[DCT]^{-1}x[F(u,v)]x[DCT]^{-1T}$.

ამ გამოსახულებაში “-1” უკუმატრიცის აღმნიშვნელია.

ტრანსფორმანტას არამთავარი დაკვანტული $F(u,v)_{u,v=1,2,\ldots,7}$ კოეფიციენტების ერთობლიობის წარმოდგენა შეიძლება შემდეგი მატრიცის სახით:

F(u,v)=

-	F(0,1)	F(0,2)	F(0,3)	F(0,4)	F(0,5)	F(0,6)	F(0,7)
F(1,0)	F(1,1)	F(1,2)	F(1,3)	F(1,4)	F(1,5)	F(1,6)	F(1,7)
F(2,0)	F(2,1)	F(2,2)	F(2,3)	F(2,4)	F(2,5)	F(2,6)	F(2,7)
F(3,0)	F(3,1)	F(3,2)	F(3,3)	F(3,4)	F(3,5)	F(3,6)	F(3,7)
F(4,0)	F(4,1)	F(4,2)	F(4,3)	F(4,4)	F(4,5)	F(4,6)	F(4,7)
F(5,0)	F(5,1)	F(5,2)	F(5,3)	F(5,4)	F(5,5)	F(5,6)	F(5,7)
F(6,0)	F(6,1)	F(6,2)	F(6,3)	F(6,4)	F(6,5)	F(6,6)	F(6,7)
F(7,0)	F(7,1)	F(7,2)	F(7,3)	F(7,4)	F(7,5)	F(7,6)	F(7,7)

აღნიშნულ მატრიცაში კოეფიციენტი, რომლის კოორდინატებია (0,0), გამოტოვებულია, ვინაიდან ის მიეკუთვნება მთავარი კოეფიციენტების ჯგუფს, რომლის უდანაკარგო კოდირება ხდება არამთავარი კოეფიციენტების კოდირების პროცესისაგან დამოუკიდებლად [14, 19, 21, 51].

არამთავარი კოეფიციენტების უდანაკარგო კოდირებამდე განსახორციელებელი მათი ზიგზაგისებური სკანირების ერთ-ერთი ვარიანტი (ზიგზაგ-ჰორიზონტალური სკანირება) წარმოდგენილია მე-3 ცხრილის სახით.

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ სკანირების შედეგად არამთავარი კოეფიციენტების ორგანზომილებიანი მასივი წარმოდგება შემდეგი ერთგანზომილებიანი მიმდევრობის სახით: F(0,1), F(1,0), F(2,0), F(1,1), F(0,2), F(0,3), F(1,2), F(2,1), F(3,0), F(4,0), F(3,1), F(2,2), F(1,3), F(0,4), F(0,5), F(1,4), F(2,3), F(3,2), F(4,1), F(5,0), F(6,0), F(5,1), F(4,2), F(3,3), F(2,4), F(1,5), F(0,6), F(0,7), F(1,6), F(2,5), F(3,4), F(4,3), F(5,2), F(6,1), F(7,0), F(7,1), F(6,2), F(5,3), F(4,4), F(3,5), F(2,6), F(1,7), F(2,7), F(3,6), F(4,5), F(5,4), F(6,3), F(7,2), F(7,3), F(6,4), F(5,5), F(4,6), F(3,7), F(4,7), F(5,6), F(6,5), F(7,4), F(7,5), F(6,6), F(5,7), F(6,7), F(7,6), F(7,7).

ცხრილი 3. ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების ზიგზაგ-ჰორიზონტალური სკანირების წესი

-	1	5	6	14	15	27	28
2	4	7	13	16	26	29	42
3	8	12	17	25	30	41	43
9	11	18	24	31	40	44	53
10	19	23	32	39	45	52	54
20	22	33	38	46	51	55	60
21	34	37	47	50	56	59	61
35	36	48	49	57	58	62	63

ტრანსფორმანტების კოეფიციენტების ზიგზაგისებური სკანირების შემდეგ იმ კოეფიციენტებს, რომელთა შორის არ არსებობს თუნდაც ერთი ნული, სიკაშკაშის Y და ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენებისათვის შედგენილი ჰაფმანის ცხრილების მიხედვით შეუსაბამებენ სხვადასხვა სიგრძის ორობით კოდს, ხოლო ნულის ან ნულების არსებობის შემთხვევაში ბოლო ნულის შემდგომი კოეფიციენტის კოდირებას ახორციელებენ წინა ნულთან (ან ნულებთან) ერთად ასეთი შემთხვევისათვის შედგენილი ჰაფმანის სპეციალური ცხრილის მიხედვით. სკანირებულ მიმდევრობაში ნულის არატოლი კოეფიციენტების კოდირების დამთავრების შემდეგ კი ფორმირდება ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების კოდირების დამთავრების აღმნიშვნელი კოდური ჯგუფი EOB (end of blok - ბლოკის დასასრული). სიკაშკაშის შემდგენისათვის იგი წარმოადგენს ოთხთანრიგა ორობით რიცხვს 1010, ხოლო ფერსხვაობითი შემდგენებისათვის – ორთანრიგა რიცხვს 00 [19, 21].

გარდასახვის არამთავარი კოეფიციენტების უდანაკარგო კოდირების ეფექტურობის გაუმჯობესების (კომპრესიის ფაქტორის ამაღლების) მიზნით შემოთავაზებულია ტრანსფორმანტების არამთავარი $F(u,v)_{u,v=1,2,\ldots,7}$ კოეფიციენტების კოდირების ეგრეთ წოდებული ზონური მეთოდი [50, 51].

კოდირების დასაწყისში სიკაშკაშის შემდგენის შესაბამისი ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების მასივი იყოფა რვა (0-დან 7-ის ჩათვლით) ზონად (ნახ. 6), ხოლო ფერსხვაობითი შემდგენებისა – ოთხ (0-დან 3-ის ჩათვლით) ზონად (ნახ. 7). აღსანიშნავია, რომ ზონებად დაყოფა ხორციელდება სკანირების ზემოთ აღნიშნული პრინციპის შენარჩუნებით.



0	1	5	6	14	15	27	28
2	4	7	13	16	26	29	42
3	8	12	17	25	30	41	43
9	11	18	24	31	40	44	53
10	19	23	32	39	45	52	54
20	22	33	38	46	51	55	60
21	34	37	47	50	56	59	61
35	36	48	49	57	58	62	63

ნახ. 6. ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების მასივის ზონების განაწილების პრინციპი ფერადი გამოსახულების სიკაშკაშის Y შემდგენისათვის

ზიგზაგ-სკანირების შედეგად ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების ორგანზომილებიანი მასივი დალაგდება ერთგანზომილებიანი მასივის სახით ნახ. 6-ზე და ნახ. 7-ზე კოეფიციენტებისათვის მინიჭებული ნომრების ზრდადი თანმიმდევრობით [52].

არამთავარი კოეფიციენტების ნომრების ზონებში განაწილება, მათი ზიგზაგ-სკანირების შემდეგ გამოსახულებათა სიკაშკაშის Y და ფერსხვაობითი (C_r და C_b) შემდგენებისათვის ნაჩვენებია მე-4 და მე-5 ცხრილებში.



0	**1**	**5**	**6**	**14**	**15**	**27**	**28**
2	**4**	**7**	**13**	**16**	**26**	**29**	**42**
3	**8**	**12**	**17**	**25**	**30**	**41**	**43**
9	**11**	**18**	**24**	**31**	**40**	**44**	**53**
10	**19**	**23**	**32**	**39**	**45**	**52**	**54**
20	**22**	**33**	**38**	**46**	**51**	**55**	**60**
21	**34**	**37**	**47**	**50**	**56**	**59**	**61**
35	**36**	**48**	**49**	**57**	**58**	**62**	**63**

ნახ. 7. ტრანსფორმანტას არამთავარი კოეფიციენტების მასივის ზონების განაწილების პრინციპი ფერადი გამოსახულების ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენებისათვის

როგორც მე-4 და მე-5 ცხრილებიდან ჩანს, სიკაშკაშის შემ-დგენისათვის გამოყენებულია 8-ზონიანი, ხოლო ფერსხვაობითი შემდგე-ნებისათვის – 4-ზონიანი კოდირება. ფერსხვაობითი შემდგენებისათვის მხოლოდ 4 ზონის გამოყენება საკმარისია იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესი გამოსახულებების ფერსხვაობითი შემდგენების შესაბამისი სკანირებული მიმდევრობის კოეფიციენტების უმრავლესობა, როგორც წესი, ნულის ტოლია (ნულოვანია). იმის გამო, რომ გამოსახულებების Y შემდგენის ტრანსფორმანტებისათვის გამოყენებულია 8 ზონა, ხოლო ფერსხვაობითი C_r და C_b შემდგენების ტრანსფორმანტებისათვის 4 ზონა, ამიტომ ზონების ნომრების კოდირებისათვის პირველ შემთხვევაში საჭიროა 3 ბიტი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2 ბიტი.

ცხრილი 4. ტრანსფორმანტების სკანირებული არამთავარი კოეფიციენტების განაწილება ზონებში გამოსახულებების Y შემდგენისათვის

ზონის ნომერი	სკანირებული მიმდევრობის კოეფიციენტების ნომრები
0	ტრანსფორმანტები ნულის ტოლი (ნულოვანი) არამთავარი კოეფიციენტებით
1	1, 2
2	1, 2, 3, 4, 5
3	1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9
